პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 281 (10367) | კვირა, 27 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობას და მისი სახით ჩვენი მრავალეროვნული არქიტექტურის ყველა მუშაკს.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის, როგორც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის, შემდგომი მძლავრი აღმავლობის პროგრამას, იბრძვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი ამაღლებისათვის.

ამ პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სამრეწველო საწარმოთა, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, კლუბებისა და მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულების მშენებლობის მძლავრი განვითარება. ამ მშენებლობას სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, ხალხისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა საჭირო ღონისძიებას იღებენ, რათა მკვეთრად გაძლიერდეს მშენებლობის ტემპი, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი და შემცირდეს ღირებულება. ეს ამოცანა წყდება და წარმატებით გადაწყდება მშენებლობის უაღრესად ფართო ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე.

მშენებლობის წარმატება, ხარისხის გაუმჯობესება და ღირებულების შემცირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საპროექტო ორგანიზაციების, არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების საქმიანობაზე. კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ჩვენი ხალხი დიდად აფასებენ არქიტექტორებისა და მშენებელთა მუშაობას, ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებენ მათ.

პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში სსრ კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის არქიტექტორებმა ცოტა მუშაობა როდი გასწიეს. მათი პროექტებით ჩვენს ქვეყანაში აგებულია მრავალი ნაგებობა და შენობა.

ომისშემდგომ წლებში აშენდა ასობით ქალაქი და მუშათა დაბა. მარტო მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მწყობრში ჩადგა 150 მილიონი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. ფართო მასშტაბებით წარმოებს სასოფლო-სამეურნეო მშენებლობა, განსაკუთრებით ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

სულ უფრო ფართოდ იყენებენ ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს, ახალ სამშენ მასალებს, ინერგება სამშენებლო წარმოების მოწინავე ტექნიკა.

უკანასკნელ ხანს პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამშენებლო საქმის ძირეული გაუმჯობესება. აღიზარდნენ მუშების, ინჟინრებისა და არქიტექტორების კვალიფიციური კადრები, რომლებსაც სწორად ესმით თავიანთი ამოცანები — აშენონ ეკონომიური, თანამედროვე მოთხოვნების შესაფერი შენობები და ნაგებობანი.

გაკეთებულია ბევრი რამ, მაგრამ შეიძლებოდა მეტის გაკეთება, ამას რომ ხელს არ უშლიდნენ დიდი ნაკლოვანებანი, ზედმეტობა და შეცდომები დაპროექტებასა და მშენებლობაში. ბევრი არქიტექტორისა და საპროექტო ორგანიზაციის მუშაობაში, როგორც ცნობილია, ფართოდ გავრცელდა არქიტექტურის გარეგნულ-ჩვენებითი მხარე, დაშვებულია დიდი ზედმეტობა, რაც მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას, აფერხებს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

საბჭოთა არქიტექტორებისა და მშენებლების ღირსების საქმეა უმოკლეს დროში აღმოფხვრან ის სერიოზული ნაკლოვანებანი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმეში, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ გამოავლინეს.

ყველა ჩვენი არქიტექტორი უნდა გახდეს დაპროექტებასა და მშენებლობაში ახლის, პროგრესულის განმახორციელებელი, მტკიცედ დაძლიოს კუსტარულობა, არ დაუშვას ზედმეტობა. მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს სამამულო და უცხოეთის მშენებლობის საუკეთესო მიღწევათა გათვალისწინებით, წარმოების ინდუსტრიული მეთოდების საფუძველზე შემუშავებული ყველაზე ეკონომიური ტიპური პროექტებით. სახლების ტიპურ პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველაზე მეტი მოხერხებულობა საბჭოთა ადამიანისათვის.

საჭიროა, რომ არქიტექტორებმა და დამპროექტებლებმა თავიანთ ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიიჩნიონ მაღალხარისხოვანი ტიპური პროექტების შექმნა, გადაჭრით აღმოფხვრან თავიანთ წრეში ამ დიდი საქმის შეუფასებლობა. ტიპური დაპროექტება ფართო გასაქანს ქმნის არქიტექტორთა შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენისათვის, იგი იმის აუცილებელი პირობაა, რომ არქიტექტურაში აღმოიფხვრას ფორმალისტური დამახინჯებანი და ზედმეტობა, როგორიცაა ზედმეტი შემკობა-გალამაზება, მოგონილი დეკორაციულობა, არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი არაკრიტიკული მიდგომა.

შეურიგებლად იბრძვიან რა დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობისა და ხელგაშლილობის წინააღმდეგ, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი შენობები და ნაგებობანი უნდა იყოს ლამაზი და მიმზიდველი და შეეფერებოდეს თავის დანიშნულებას. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ შენობათა სილამაზე და მიმზიდველობა შეიძლება მიღწეულ იქნას არა სრულიად გაუმართლებელი დეკორაციული ელემენტების, კოშკურა დანაშენების, კოლონადების და პორტიკების ახუხულებით, რომლებიც არაკრიტიკულად გადმოღებულია წარსულის არქიტექტურიდან. არქიტექტორების ამოცანაა შექმნან ლამაზი შენობანი და ნაგებობანი, რომლებიც გამოირჩევიან კარგი პროპორციებით, მოხერხებული დაგეგმვით, მათი მშენებლობისა და ექსპლოატაციის ეკონომიურობით.

ავითარებენ და ამრავლებენ რა სსრ კავშირის ხალხთა კლასიკური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებს, საბჭოთა არქიტექტორებმა თავიანთ საქმიანობაში უნდა იხელმძღვანელონ სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნებით. სოციალისტური რეალიზმი შეუთავსებელია ფორმალისტურ ხერხებთან, წარსულის არქიტექტურის ნიმუშების ბრმა გადმოღებასთან, აგრეთვე არქიტექტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფასთან. ფორმების უბრალოება, სისადავე, მიმზიდველი გარეგანი შესახედაობა და გადაწყვეტის ეკონომიურობა, ზრუნვა საყოფაცხოვრებო მოხერხებულობისათვის — ასეთია საბჭოთა არქიტექტურის მთავარი, განმსაზღვრელი ნიშნები.

საბჭოთა არქიტექტურის წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში მაღლდება როლი და მნიშვნელობა არქიტექტორთა კავშირისა — საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომელიც მოწოდებულია დარაზმოს მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს არქიტექტორთა შემოქმედებითი ძალები.

კავშირის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს ზრუნვა იმისათვის, რომ ჩვენი არქიტექტორები არ მოსწყდნენ მშენებლობის არსებითს ამოცანებს, რომ ისინი ცხოვრობდნენ ხალხის ინტერესებითა და მისწრაფებებით, იყვნენ აქტიური მებრძოლნი მშრომელების განუწყვეტლივ მზარდ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა ყოველი ღონისძიებით დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოთა არქიტექტორების კავშირი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმის კადრების იდეოლოგიური აღზრდის, შემოქმედებითი ზრდისა და პროფესიული ოსტატობის საკითხებს. კავშირი მოწოდებულია ფართოდ გაშალოს არქიტექტორთა შორის ნაკლოვანებათა პრინციპული, შეურიგებელი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ზარდოს და გაბედულად აწინაუროს ახალგაზრდა ნიჭიერი კადრები, განაზოგადოს და გაავრცელოს მოწინავე გამოცდილება, იბრძოლოს რუტინისა და უძრაობის, ფორმალიზმის, ესთეტობისა და სხვა დამახინჯებათა წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხი არქიტექტორებისაგან მოელის სსრ კავშირში სამშენებლო საქმის შემდგომი აღმავლობისაკენ მიმართულ დიდ შემოქმედებითს მუშაობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საბჭოთა არქიტექტორები უმოკლეს ვადაში გადაჭრით დაძლევენ სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს თავიანთ მუშაობაში, მიაღწევენ ახალ წარმატებებს არქიტექტურისა და მშენებლობის დარგში, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის დიად საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დეპეშა

მის აღმატებულებას ბატონ ი. კ. პაასიკივის

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

ჰელსინკი

თქვენი დაბადების 85 წლისთავის დღეს გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი სახელით მიიღოთ უაღრესად გულითადი მილოცვა. გისურვებთ მუდამ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ თქვენი აღმატებულების თვალსაჩინო წვლილს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განვითარების საქმეში, რასაც თქვენ ესოდენ ბევრი დრო და ძალა მოახმარეთ. სიამოვნებით ვიგონებ ამ ცოტა ხნის წინათ თქვენთან შეხვედრას მოსკოვში როცა ესოდენ მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი ქვეყნების მისწრაფება მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი დამკვიდრებისა და განმტკიცებისადმი.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრობა, რომლის საფუძველი თქვენი ქმედითი მონაწილეობით ჩაიყარა, განუწყვეტლივ განმტკიცდება და განვითარდება ჩვენი ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

კ. ვოროშილოვი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, 1955 წლის 25 ნოემბერი.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთში

ბომბეი, 25 ნოემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). 24 ნოემბერს საღამოს ბომბეიში ბომბეის შტატის მთავარმა მინისტრმა მ. დესაიმ დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. დარბაზობაზე იყვნენ ბომბეის შტატის საკანონმდებლო კრების წევრები, შტატის მთავრობის წევრები, აგრეთვე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი. მთავარი მინისტრი მ. დესაი მიესალმა სტუმრებს და განაცხადა, რომ მათი ვიზიტი ხელს შეუწყობს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებას. მთავარი მინისტრის მისალმების პასუხად ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა სიტყვა წარმოთქვა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ბომბეის შტატის მთავარ მინისტრთან გამართულ დარბაზობაზე 1955 წლის 24 ნოემბერს

ბატონო მთავარო მინისტრო, ბატონებო, ბომბეის შტატის საკანონმდებლო კრების წევრებო!

უწინარეს ყოვლისა მსურს მადლობა გადაგიხადოთ გაწეული სტუმართმოყვარეობისათვის. ნება მიბოძეთ ჩემი სახელით, აგრეთვე ამხანაგ ხრუშჩოვისა და ჩვენთან ერთად ჩამოსული ჩვენი მეგობრების სახელით, გადმოგცეთ გულითადი მადლობა გულუხვი, — მე ვიტყოდი, უფრო მეტი, ვიდრე გულუხვი — მეგობრული მიღებისათვის, ისეთი მიღებისათვის, რომელსაც გაუწევენ მხოლოდ ყველაზე მახლობელ მეგობრებს. (ტაში).

ჩვენ დაგვავალა საბჭოთა მთავრობამ, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავს, გადავცეთ ინდოელ ხალხს ყველა საბჭოთა ადამიანის უაღრესად მხურვალე და გულწრფელი სალამი. (ტაში).

ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი მოგზაურობა ინდოეთის რესპუბლიკაში კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ხალხების — დიდი ინდოელი ხალხისა და დიდი საბჭოთა ხალხის მეგობრობას. (ტაში). როგორც საბჭოთა ადამიანებს, ისე ინდოელებსაც სურთ მშვიდობა, სურთ იცხოვრონ მშვიდობიანად და იშრომონ პროდუქტიულად მომავალ თაობათა საბედნიეროდ. და რაც უფრო მტკიცე იქნება ჩვენი მეგობრობა, რაც უფრო მტკიცე იქნება მშვიდობა, მით უფრო მტკიცე გახდება იმის იმედი, რომ მშვიდობა ხანგრძლივი იქნება. (მქუხარე ტაში).

ჩვენ და თქვენ, XX საუკუნის ადამიანებს, გვაქვს ერთი ძალიან ბედნიერი გარემოება, რომელიც წილად გვხვდა: ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა ხალხთა შეგნება განუზომლად გაიზარდა, როცა ისინი თვითონ იღებენ საკუთარ ხელში თავის ბედს და იწყებენ ახალი ცხოვრების აშენებას, ხელმძღვანელობენ რა იმ მოღვაწეთა მოძღვრებით, რომლებისაც მათ სჯერათ როგორც თავიანთი მასწავლებლებისა.

თქვენ გყავდათ თვალსაჩინო მოღვაწე, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა თქვენი ქვეყნისათვის. მე მხედველობაში მყავს მაჰათმა განდი, რომელსაც დიდად აფასებენ თქვენს ქვეყანაში როგორც სახელოვან პატრიოტსა და ხალხის მეგობარს. ჩვენ ღრმა პატივისცემით ვეპყრობით მის ხსოვნას, ისევე როგორც მისი საქმის განმგრძობის ჯავაჰარლალ ნერუს შრომებს. (ტაში).

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვხელმძღვანელობთ დიდი ლენინის მოძღვრებით, რომელმაც ჩვენ და ყველა სხვა ხალხს დაუსახა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ბედნიერების გზა.

ჩვენ, ლენინის მოწაფეები, არ ვიზიარებთ განდის ფილოსოფიურ შეხედულებებს, მაგრამ მიგვაჩნია იგი თვალსაჩინო მოღვაწედ, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი თქვენი ხალხის მშვიდობისმოყვარულ შეხედულებათა განვითარებას და მის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის ხალხი განთავისუფლდა კაპიტალიზმის უღლისაგან, მან შეძლო გამოსულიყო თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის, თავისი კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო გზაზე. მხოლოდ მაშინ, როცა ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ინდოეთის წინაშე დაისახა ახალი შესაძლებლობანი, ახალი პერსპექტივები მის განვითარებაში.

დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხი ესწრაფვის მშვიდობას, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უზრუნველყონ მომავალი თაობებისათვის მშვიდობიანი და ბედნიერი შრომითი ცხოვრება. მაგრამ ნუ ვილაპარაკებთ ამ შემთხვევაში ყველა ხალხის ამოცანებზე. ვილაპარაკოთ იმ ამოცანაზე, რომელიც დასახულია ჩვენი ორი ხალხის — დიდი ინდოელი ხალხისა და დიდი საბჭოთა ხალხის წინაშე. მაშ ვთქვათ დღეს:

გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას ჩვენს ხალხებს შორის! გაუმარჯოს ინდოელი და საბჭოთა ხალხების მარადიულ და ურღვევ მეგობრობას! (მქუხარე ტაში).

• • •

ბომბეიში ყოფნის დასასრულს ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრნენ დარბაზობას, რომელიც 24 ნოემბერს საღამოს მათ პატივსაცემად გამართა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოებამ. ამ დარბაზობის დროს საზოგადოების სრულიად ინდოეთის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ვ. ბალიგამ, ბომბეის შტატის გუბერნატორმა ხ. მეჰტაბმა, ამხანაგებმა ბულგანინმა და ხრუშჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოებაში 24 ნოემბერს გამართულ დარბაზობაზე ბომბეიში

მეგობრებო! ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მადლობა გადაგიხადოთ იმ გულითადი, გულთბილი შეხვედრისათვის, რომელიც ჩვენ მოგვიწყეთ.

ჩვენ მღელვარებით ვუახლოვდებოდით თქვენი სახელმწიფოს საზღვრებს. მღელვარებით შემოვდგით ფეხი ინდოეთის მიწაზე, თქვენს შესანიშნავ ქალაქ დელიში — თქვენი ქვეყნის დედაქალაქში.

ჩვენ მოვდიოდით, რათა გავცნობოდით თქვენს ქვეყანას, გავცნობოდით თქვენს ხალხს, გაგცნობოდით თქვენ.

რამდენიმე დღეა თქვენს ქვეყანაში ვართ და უნდა ვთქვა, რომ შეხვედრებმა ინდოელ ხალხთან, მის წარმომადგენლებთან, ინდოეთის ხელისუფლებთან, დღევანდელმა შეხვედრამ თქვენთან ძლიერ აგვაღელვა თავისი გულითადობითა და მეგობრობით, რასაც ჩვენდამი იჩენთ. ჩვენ თავს ვგრძნობთ როგორც შინ, როგორც მახლობელ მეგობრებში. (მქუხარე ტაში).

დღეს ჩვენ სტუმრად ვართ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოებაში. ამ საზოგადოების თვით სახელწოდება მეტყველებს მის ამოცანებზე.

უკანასკნელ წლებში ჩვენში, საბჭოთა კავშირში, იყვნენ დიდი ინდოელი ხალხის ბევრი დელეგაცია და ცალკეული წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირიდან ბევრი ადამიანი იყო ინდოეთში.

საბჭოთა კავშირში იყვნენ მეცნიერთა წარმომადგენლები, ინდოელი მწერლები, ბევრი საზოგადო მოღვაწე, კინოს მოღვაწეები, მსახიობები, რეჟისორები, ბევრი მათგანი ახლა ძალიან პოპულარულია საბჭოთა ადამიანებში. ჩვენ აქ ვნახეთ ბევრი პირადად ჩვენი ნაცნობი ადამიანი. (ტაში).

ჩვენ გვახარებს ეს შეხვედრა. დღეს მადლობით მივმართავთ საზოგადოების პატივცემულ თავმჯდომარეს დოქტორ ბალიგას, რომელიც მის მუშაობას ხელმძღვანელობს. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ბომბეის შტატის გუბერნატორს ბ-ნ მეჰტაბს, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა ვყოფილიყავით აქ, ამ შესანიშნავ საღამოზე.

ვსვამ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების საქმიანობის შემდგომი გაფართოების სადღეგრძელოს. ვსვამ ამ საზოგადოების თავმჯდომარის დოქტორ ბალიგას სადღეგრძელოს, ბომბეის შტატის გუბერნატორის ბ-ნ მეჰტაბის სადღეგრძელოს.

გაუმარჯოს ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას! (ხანგრძლივი ტაში).

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოებაში 24 ნოემბერს გამართულ დარბაზობაზე ბომბეიში

მეგობრებო, ნებას მივცემ ჩემს თავს სწორედ ასე მოგმართოთ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ მეგობრობის საზოგადოების კრებაზე, რომელიც მიზნად ისახავს განავითაროს და განამტკიცოს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა. (ტაში).

ისევე, როგორც ჩემს მეგობარს ბულგანინს, მე მინდა მადლობა ვუძღვნა საზოგადოების თავმჯდომარეს დოქტორ ბალიგას და ბომბეის შტატის გუბერნატორს ბ-ნ მეჰტაბს, რომელიც ხელს უწყობს ამ საზოგადოების მუშაობას და რომელმაც თავაზიანად მოგვიწვია თქვენს შესანიშნავ ქალაქში. (ტაში).

მე აგრეთვე მადლობას ვუძღვნი თქვენი შტატის მთავარ მინისტრს ბ-ნ დესაის. (ხანგრძლივი ტაში).

მადლობას გიძღვნით ყველას, ვინც აქ მოხვედით ჩვენს შესახვედრად. (ტაში).

ზოგჯერ, როცა იწყებ სიტყვას, უნებლიეთ ღელავ, სანამ საჭირო კალაპოტში ჩადგებოდე, რათა შეუფერხებლად განავითარო შენი სიტყვა. (გამოცოცხლება დარბაზში. ტაში). ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ძალიან კარგი კალაპოტია ხალხთა მეგობრობის თემა. მეგობრობა სხვადასხვაგვარია. არის ისეთი მეგობრობა, როცა ადამიანები სულს არ დაიშურებენ ერთმანეთისათვის, მაგრამ არის ისეთი „მეგობრობა“, როცა ადამიანები ცხოვრობენ ერთმანეთის მეზობლად, მაგრამ ერთმანეთს არ იწვევენ სტუმრად. (სიცილი დარბაზში. ტაში). ასე ხდება სახელმწიფოებს შორის. ზოგიერთ მათგანს არა აქვს ნამდვილი მეგობრობა, მაგრამ ისინი ცხოვრობენ ერთ პლანეტაზე, და უნდათ თუ არა, როგორღაც უნდა შეეგუონ ერთმანეთს.

აი ასეთ ცხოვრებას უწოდა ჩვენმა დიდმა ლენინმა თანაარსებობა. დებულება თანაარსებობის შესახებ მეტად დიდმნიშვნელოვანი დებულებაა. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც აყენებენ საკითხს: შეიძლება თუ არა იყოს თანაარსებობა? ასეთი საკითხი თითქოს არც არის, რადგან სახელმწიფოები პრაქტიკულად თანაარსებობენ. (გამოცოცხლება დარბაზში).

მაგრამ ამ საკითხს აყენებენ.

მე მინდა გითხრათ შემდეგი. დედმამაზეა დამოკიდებული ბავშვის გაჩენა. მაგრამ მათზე არ არის დამოკიდებული, რა დღეს და რა საათში გაჩნდება ეს ბავშვი და იქნება თუ არა იგი ისეთი, როგორიც მათ სურთ. (მხიარული გამოცოცხლება). როგორ შეიძლება ცდილობდე შეაჩერო ისტორიის განვითარება, თავიდან აიცილო ახალი საზოგადოებრივი და სოციალური ფორმების წარმოშობა? როგორც ყოველ დილას ამოდის მზე, ისე მოძველებულ საზოგადოებრივ ფორმებს ცვლის ახალი, უფრო პროგრესული ფორმები. (ხანგრძლივი ტაში).

სწორედ ასე გაჩნდა ამ ქვეყნად ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო. ეს იყო მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფო, მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. (ტაში). ამ სახელმწიფოს გაჩენას ყველა სხვა სახელმწიფო ზარების რეკვით როდი შეხვდა. (გამოცოცხლება დარბაზში).

რამდენადაც ძველი, მეფის წყობილება რუსეთში დალპა, ოქტომბრის გადატრიალება თითქმის უსისხლო იყო. მაგრამ შემდეგ ჩვენ გვითხრეს — არა სიტყვასიტყვით, რა თქმა უნდა, არა ოქმით, არამედ თავიანთი მოქმედებით: როგორ თუ, რა საფუძვლით გაჩნდა საბჭოთა სახელმწიფო? რა უფლებით აიღეს მუშებმა და გლეხებმა ძალაუფლება თავიანთ ხელში? (გამოცოცხლება დარბაზში).

და არა მარტო გვითხრეს, არამედ თავიანთი ჯარები დასძრეს ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ფრანგი ინტერვენტები გადმოსხდნენ ოდესაში, ინგლისელები — არხანგელსკში, ამერიკელები — ვლადივოსტოკში, ხოლო მათ მოჰყვნენ იქ იაპონელებიც.

თუ რა იყო ამის შედეგი, ყველამ კარგად იცის. ოკუპანტთა ჯარები გაზვეტა საბჭოთა ხალხმა ისე, როგორც კარგი დიასახლისი გახვეტავს ხოლმე ნაგავს თავის ქოხიდან. (გამოცოცხლება. მქუხარე ტაში). მაგრამ ეს არ იკმარა ზოგიერთმა ვაჟბატონმა. მათ მოისურვეს განმეორება და მოაწყეს მეორე მსოფლიო ომი. მათ დასძრეს სსრ კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერული გერმანიის დიდი შეიარაღებული ძალები.

თუ რით გათავდა ეს, აგრეთვე ყველამ კარგად იცის. საბჭოთა კავშირმა კვლავ გაანადგურა თავისი მტრები. მაგრამ ომის მსვლელობაში სსრ კავშირი არათუ არ დასუსტებულა, არამედ კიდევ უფრო მეტი ძალა შეიძინა. (ტაში). ახლა საბჭოთა ხალხმა მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, აღადგინა დანგრეული მეურნეობა, წარმატებით შესრულა პირველი ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა და ამჟამად ამთავრებს მეორე ომისშემდგომი ხუთწლედის შესრულებას. ჩვენი ქვეყანა სწრაფად ვითარდება და იფურჩქნება.

მე მახსოვს ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეები, მახსოვს სამოქალაქო ომის წლები, როდესაც მხოლოდ ლენინი კარგად ხედავდა მომავალ განვითარებას — თუ რა ძლევამოსილი გახდებოდა ის-ის იყო გაჩენილი საბჭოთა სახელმწიფო.

აქ დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობა ინტელიგენციის წარმომადგენლები ხართ. ამასთან დაკავშირებით მინდა გაგიზიაროთ მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა მაშინ რევოლუციას რუსეთის ინტელიგენცია. ბევრი ინტელიგენტი მიესალმა რევოლუციას და პატიოსნად იწყო ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს სამსახური. მაგრამ ზოგიერთი ასე მსჯელობდა: რა გამოვა აქედან? ლენინმა და კომუნისტებმა მოუწოდეს მუშებსა და გლეხებს მართონ სახელმწიფო. უწიგნური მუშები და კიდევ უფრო უწიგნური გლეხები გახდნენ ქვეყნის ხელმძღვანელნი! რა მოუვა რუსულ კულტურას? ვინღა იქნება რუსული ხელოვნების დამფასებელი? ჩანს, აღარ იქნება შესანიშნავი რუსული ბალეტი, რომელიც რევოლუციამდეც განთქმული იყო მთელ მსოფლიოში! ჩანს, აღარ იქნება საოპერო ხელოვნება, რომელიც აგრეთვე მაღლა იდგა რევოლუციამდე! ჩანს, არავინ იზრუნებს აგრეთვე სხვა სახეობათა ხელოვნებისათვის! აღარ იქნებიან ჭეშმარიტი დამფასებლები!

მაგრამ ცხოვრებამ გააბათილა ყველა ეს ეჭვი. საბჭოთა კულტურა ძველი რუსეთის კულტურაზე გაცილებით მაღლა დგას. ბევრი თქვენგანი იყო ამ წლებში საბჭოთა კავშირში, მათ თავიანთი თვალით ნახეს, რომ ხელოვნებას საბჭოთა კავშირში ისე დიდად აფასებენ, როგორც არასოდეს არ დაუფასებიათ რევოლუციამდე. მუშებმა და გლეხებმა თავიანთ წრიდან გამოჰყვეს საუკეთესო ადამიანები, გაგზავნეს ისინი უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, და თვითონაც ჩარხებთან შეიძინეს კულტურა.

ჩვენ ამით ვამაყობთ.

სურთ თუ არა სურთ ჩვენს მტრებს, საბჭოთა კავშირი არსებობს და არა მარტო არსებობს, არამედ წარმატებით იზრდება და ვითარდება. მტკიცდება ჩვენი ეკონომიკა, ვითარდება კულტურა, უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა.

ყოველივე ეს ხდება ისეთ პირობებში, როცა ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ არიან ჩვენდამი მტრული ძალები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი განზრახვაზე ჩაახრჩონ ჩვენი ქვეყანა. ჩვენ იძულებული ვართ საკმაოდ ბევრი სახსრები ვხარჯოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის. ჩვენ რომ შეგვეძლოს მთელი სახსრები, რაც შეიარაღებაზე იხარჯება, მოვახმაროთ მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს, ჩვენი ხალხის კეთილდღეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდებოდა.

ეს იციან ჩვენმა მტრებმა. სწორედ ამიტომ ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს საზღვარგარეთ ეშინია ამჟამად სერიოზულად ილაპარაკოს განიარაღებაზე, არა სურს მოისპოს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა. მათ ეშინიათ, რომ ჩვენ შევძლებთ გავათავისუფლოთ სახსრები, რომლებსაც ახლა თავდაცვისათვის ვხარჯავთ, და მოვახმაროთ ეს სახსრები მშვიდობიან მშენებლობას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლანდელ პირობებშიც კაპიტალისტურ სისტემასა და სოციალისტურ სისტემას შორის მშვიდობიან შეჯიბრებაში გავიმარჯვებთ ჩვენ, გაიმარჯვებს სოციალიზმი. (ხანგრძლივი ტაში).

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

როგორღაც ერთ-ერთ დარბაზობაზე კრემლში მე საჯაროდ განვაცხადე ეს. მაშინ ბურჟუაზიულმა კორესპონდენტებმა მთელ მსოფლიოს მოსდეს, რომ ხრუშჩოვს „წამოსცდა“ და თქვა, ბოლშევიკებს თავიანთ პოლიტიკურ გეგმებზე ხელი არ აუღიათო. არა, მე არ წამომცდენია და არც შემშლია, არამედ ვთქვი ის, რასაც ჩვენ ვფიქრობთ და რაშიც დარწმუნებული ვართ. არასოდეს არ გვითქვამს და არც ვიტყვით უარს ჩვენს პოლიტიკურ გეზზე, რომელიც დაგვისახა ლენინმა, არ გვითქვამს და არც ვიტყვით უარს ჩვენს პოლიტიკურ პროგრამაზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

როგორც ჩვენი ხალხური ანდაზა ამბობს, „ვისაც კარგი ცხოვრება აქვს, ცუდს როდი ეძებს!“ **(გამოცოცხლება დარბაზში).**

მაშ რატომ უნდა ვთქვათ უარი იმაზე, რამაც ჩვენი ქვეყანა საუკუნეობრივი ჩამორჩენილობიდან გამოიყვანა ყველაზე მოწინავე და მრეწველობის მხრივ და ეკონომიურად ყველაზე განვითარებული ქვეყნების დონეზე! რატომ ვთქვათ უარი? რისთვის?

აი ამიტომ ჩვენ ვეუბნებით ვაჟბატონებს, რომლებიც მოელიან, ხომ არ შეცვლის საბჭოთა კავშირი თავის პოლიტიკურ პროგრამას: ელოდეთ, სანამ კიბო დაუსტვენდეს! თქვენ კი თვითონ იცით, როდის უსტვენს კიბო. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

მაშ ასე, არის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა — თანაარსებობა. ორი სისტემის თანაარსებობა. სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების თანაარსებობა.

პირადად მე კაპიტალისტური სისტემა ძალიან არ მომწონს. **(ტაში).** მე თანაარსებობაზე იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, რომ მინდა კაპიტალიზმის არსებობა, არამედ იმიტომ, რომ არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ ეს სისტემა არსებობს. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

მოწინააღმდეგე მხარეს კი არაფრით არა სურს შეურიგდეს სოციალისტური სისტემის არსებობას, თუმცა მარტო ჩვენ როდი შეგვიქმნია სოციალისტური სახელმწიფო, ამ გზას დაადგა აგრეთვე ბევრი სხვა ქვეყანა. სოციალიზმს აშენებს ჩვენი დიდი მეგობარი — დიდი ჩინელი ხალხი, — ეს ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც, როგორც იტყვიან, ვერ გადააბიჯებ, რომ არ შენიშნო. სოციალიზმს აშენებენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხები, რომლებიც საბჭოთა კავშირთან ერთად გამოდიან.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ნერუმ განაცხადა, რომ ინდოეთიც დაადგება სოციალისტურ გზას. **(მქუხარე ტაში).** ეს კარგია. რა თქმა უნდა, ჩვენ სოციალიზმის საკითხი სხვადასხვანაირად გვესმის. მაგრამ ჩვენ მივესალმებით ასეთ განცხადებას და ასეთ მიმართულებას.

მაშ ასე, სოციალისტური სისტემა არსებობს და ამის ნებართვას არავის არ ჰკითხავს. **(გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).** ჩვენ არა მარტო ვარსებობთ, არამედ შეგვიძლია ღირსეულადაც დავიცვათ ჩვენი არსებობა.

ჩვენ რომ დავჯერებოდით თხოვნას თანაარსებობის შესახებ, დიდი ხანია მოგვსპობდნენ.

როგორც უნდა სურდეთ მტრებს ჩვენი დაღუპვა, ეს მათ არ ძალუძთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაშასადამე, უნდათ თუ არ უნდათ, უყვართ თუ არ უყვართ, მაინც ერთ პლანეტაზე უნდა იცხოვრონ სოციალისტურმა სახელმწიფოებმაც და კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმაც.

თუ არ მოგწონვართ — ვეუბნებით ჩვენ კაპიტალისტურ ქვეყნებს — ნუ მოგვიწვევთ სტუმრად, ჩვენ უამისოდაც ვიარსებებთ.

აი ასე ჩამოყალიბდა ვითარება თანამედროვე მსოფლიოში.

ჩვენ ისეთი თანაარსებობის მომხრე ვართ, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა სახელმწიფოს ურთიერთკავშირის ნორმალურ განვითარებას, ჩვენ, კერძოდ, იმის მომხრე ვართ, რომ ვივაჭროთ ყველა ქვეყანასთან. დაე მათ იყიდონ ჩვენგან, ჩვენ კი მათგან ვიყიდით.

ახლა ისინი ცდილობენ ჩვენს მიმართ განახორციელონ დისკრიმინაცია ვაჭრობაში და არა სურთ ივაჭრონ ჩვენთან დიდმნიშვნელოვანი საქონლით. მაგრამ ჩვენი ქვეყანა მაინც იზრდება და მტკიცდება. და, საიდუმლოდ გეტყვით, მათმა დისკრიმინაციამ მხოლოდ გვაიძულა დაგვეძაბა მთელი ძალები იმ საქონლის საწარმოებლად, რომლის მოყიდვაც არა სურთ კაპიტალისტებს. ჩვენ თვითონ ვუშვებთ ახლა ამ საქონელს და სულ წინ და წინ მივდივართ. ამრიგად, ვაჭრობაში დისკრიმინაციის პოლიტიკამ კი არ გვავნო, არამედ დაგვეხმარა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ სახელმწიფოთა კულტურული ურთიერთობის უფრო ფართო განვითარებას. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენთან ჩამოდიოდეს რაც შეიძლება მეტი ადამიანი კაპიტალისტური ქვეყნებიდან და რომ ჩვენი ადამიანები უფრო ხშირად მიდიოდნენ ამ ქვეყნებში.

ჩვენ ბრალად გვდებდნენ, თითქოს შევქმენით რაღაც „რკინის ფარდა“. მაგრამ აი მარტო წელს სსრ კავშირში იყო ბევრი ამერიკელი სენატორი, ჩამოვიდა ბევრი ამერიკელი მეცნიერი, პრესის წარმომადგენლები. ჩვენში ჩამოვიდნენ ამერიკელი და ინგლისელი ფერმერები, ჩამოვიდნენ ომის ამერიკელი ვეტერანები.

ჩვენ უარს არ ვეუბნებით ვიზებზე იმათ, ვისაც სურს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა.

თქვენ ალბათ იცნობთ ბიბლიურ ლეგენდას ნოეს კიდობნის შესახებ. როცა ნოე თავისი კიდობნისათვის არჩევდა ცხოველებს, მან წაიყვანა შვიდ-შვიდი წყვილი წმინდა და ორ-ორი წყვილი უწმინდური ცხოველები. მე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან უფრო უწმინდურები ჩამოდიოდნენ, მაგრამ ჩვენ ყველა ისინი მივიღეთ, არ გვეშინოდა მათი. **(მხიარული გამოცოცხლება).**

ჩვენ ასე ვმსჯელობდით — თუ უწმინდური ჩამოვიდა, იგი ჩვენ ვერ გაგვაჭუჭყიანებს.

მაშასადამე, თუ საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის განვითარება ისე სწრაფად არ ხდება, როგორც სასურველია, ეს ჩვენი მიზეზით როდია.

ასეთია მშვიდობიანი თანაარსებობის ზოგიერთი საკითხი. ვფიქრობ, თუ საჭიროა თანაარსებობის კლასიკური ნიმუში, ასეთ ნიმუშს იძლევა ჩვენი ურთიერთობა ინდოეთთან. ჩვენ არა მარტო ვთანაარსებობთ, არამედ ვმეგობრობთ კიდეც, მიუხედავად პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავებისა მთელ რიგ საკითხებში. ამ მეგობრობის საფუძველია ჩვენი ერთობლივი ბრძოლა მშვიდობისათვის. ამიტომ არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი მეცადინეობა ამ მიმართულებით. მაშ კვლავაც დავამსხვრიოთ ყველაფერი, რაც ხელს უშლის მშვიდობიან თანაარსებობას. განვამტკიცოთ ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარებას.

ამ მხრივ ძალიან პატარა, შეიძლება მიკროსკოპული, წარმატებანი გვქონდა ჟენევის შეხვედრების შედეგად. ამას წინათ დამთავრდა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. მან ვერ მოგვცა ის შედეგები, რის იმედიც შეიძლებოდა გვქონოდა. მაგრამ ჩვენ ამის გამო ძალიან შეწუხებული როდი ვართ. როგორც ჩანს, ჯერ დრო არ დამდგარა. არ მომწიფებულა საკითხი გადასაჭრელად. ჩვენს პარტნიორებს კი უარი არ უთქვამთ აზრზე, რომ ჩვენთან მოლაპარაკება აწარმოონ ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციიდან“.

ერთხელ კიდევ უნდა ვთქვა გულახდილად: ვინც ჩვენთან ილაპარაკებს „ძალის პოზიციიდან“, ვერაფერს ვერ მიაღწევს.

საერთოდ ჯერჯერობით, როგორც ჩანს, მოგვიხდება დავუცადოთ იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც ჟენევაში იდგა. ჩვენ მზადა ვართ დავიცადოთ, ჩვენ, როგორც იტყვიან, ქარი სახეში არა გვცემს. დავუცდით კარგ ამინდს. დავიცდით, როცა ეს საკითხები შეიძლება გადაიჭრას ხალხის ინტერესებისათვის.

უკვე ინდოეთში ყოფნისას მე წავიკითხე მთელი რიგი სახელმწიფო მოღვაწეების გამოსვლები, რომლებიც შეფასებას აძლევენ ჟენევის თათბირის შედეგებს. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჟენევის თათბირის მონაწილეთა გამოსვლები თავშეკავებულია. ეს მოწმობს, რომ მათ, როგორც ჩანს, ახლა არ სურთ აშკარად გამოხატონ ვნებათა ღელვა, რასაც შეუძლია გაამწვავოს საერთაშორისო დაძაბულობა.

მე ვამთავრებ ჩემს გამოსვლას. თანაარსებობა უნდა იყოს. ჩვენ მას არც მოვითხოვთ და არც ვთხოულობთ, არამედ რეალურად ვარსებობთ, ისევე როგორც რეალურად არსებობენ კაპიტალისტური სახელმწიფოები. ჩვენ მარსზე ვერავინ ვერ გადაგვასახლებს — არც მეცნიერებს გამოუგონიათ ჯერ ამის საშუალება. ალბათ არც კაპიტალისტურ სახელმწიფოებს სურთ მარსზე გადასახლება. **(გამოცოცხლება დარბაზში.).** მაშასადამე, მოგვიხდება ერთ პლანეტაზე ცხოვრება. ეს კი ნიშნავს თანაარსებობას.

ამ პირობებში ამოცანა ის არის, რომ ხელი შევუშალოთ აგრესიულ ძალებს გააჩაღონ ახალი ომი.

თქვენი საზოგადოების მუშაობა ხელს უწყობს მშვიდობიანი თანაარსებობის ამოცანის გადაჭრას. რაც უფრო კარგად გავიცნობთ ერთმანეთს, რაც უფრო ახლო ვითანამშრომლებთ, რაც უფრო მეტად დავეხმარებით ერთმანეთს, მით უფრო ძლიერი იქნებიან მშვიდობის ძალები, და ეს შეაკავებს აგრესიულ ძალებს. აგრესორებს ხომ ვერ გადააჩვევ აგრესიულობას, ისინი შეიძლება შევაკავოთ მხოლოდ ხალხთა აქტიური მოქმედებით, აქტიური ბრძოლით მშვიდობისათვის. **(ტაში).**

ვსვამ ყველა აქ დამსწრის, ყველა იმათ სადღეგრძელოს, ვინც ძალებს დაუშურებლად მუშაობს ამ მიმართულებით. ვსვამ მეგობრობის სადღეგრძელოს. თქვენი სადღეგრძელო იყოს, მეგობრებო! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ა. ვ. ბალიგა ბომბეის საპატიო სტუმრებს გულთბილად მიესალმა, ხაზგასმით აღნიშნა მნიშვნელობა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოებისა სსრ კავშირის და ინდოეთის დაახლოების საქმეში.

მოკლე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა.

შემდეგ სიტყვა აიღო ბომბეის შტატის გუბერნატორმა ხ. მეჰტაბმა. მან განაცხადა, რომ ინდოეთი საარსებოდ დაინტერესებულია მშვიდობით და ისწრაფვის მხარდამხარ მიჰყვეს მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ქვეყანას. მიმართა რა საბჭოთა სტუმრებს, გუბერნატორმა თქვა: სერიოზულად ვერავინ ვერ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ თქვენი ქვეყანა მტკიცედ იცავს მშვიდობას. ჩვენი პრემიერ-მინისტრის ვიზიტმა თქვენს ქვეყანაში და თქვენმა ჩამოსვლამ ჩვენში გაგვაერთიანა ჩვენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

ხალხთა შორის ურთიერთობას საფუძვლად უნდა ედოს, განაგრძო გუბერნატორმა, მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა ხალხთა თვითშეგნება ისეთ საფეხურზე ავიდა, რომ აღარავინ თანხმდება სხვა ქვეყნის ბატონობაში ყოფნას. გუბერნატორმა რწმენა გამოთქვა, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის ხელსაყრელი ვითარება შეიძლება იმ შემთხვევაში შეიქმნას, თუ ეკონომიური განვითარების მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნები განაცხადებენ, რომ აღარ სურთ მოითმინონ რაიმე ექსპლოატაცია და რომ განზრახული აქვთ მტკიცედ დადგნენ საკუთარ ფეხზე.

გუბერნატორის სიტყვის პასუხად მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ბომბეის შტატის მთავარმა მოსამართლემ ჩაგლამ.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი პუნაში

პუნა, 25 ნოემბერი. **(საქდესის სპეც. კორ.).** ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი დღეს დილით ჩამოვიდნენ პუნაში — ბომბეის შტატის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში, მარატი ხალხის ძველ დედაქალაქში, რომელიც ახლა ინდოეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონის ცენტრი და დიდმნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია.

პუნის აეროდრომზე საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ცენტრალური სამხედრო ზონის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ტიმაია, პუნის მერი ბ. ნ. სანასი, ბომბეის შტატის ხელისუფალთა და ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლები.

სტუმრები აეროდრომიდან გაემგზავრნენ ვადგაონის საცდელ სასოფლო-სამეურნეო სადგურში პუნიდან 30 კილომეტრზე. ეს სადგური შექმნა ბომბეის შტატის მთავრობის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა. აქ სპეციალურად სწავლობენ მებრინჯეობის პრობლემებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთისათვის, სადაც ბრინჯის ნათესების ფართობი 70 მილიონ აკრს (28 მილიონ ჰექტარს) აღწევს. ახსნა-განმარტებას იძლეოდა ბომბეის შტატის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დირექტორი ტ. გ. შირნამე.

შემდეგ ამხანაგები ბულგანინი და ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები ეწვივნენ ჰიდროენერგეტიკის საექსპერიმენტო სადგურს პუნის ახლოს, რომელიც ინდოეთის ცენტრალური მთავრობის გამგებლობაშია. ეს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, რომელიც ინდოეთის ექვს ანალოგიურ სადგურთაგან ყველაზე დიდმნიშვნელოვანია, ინდოეთის წყლის რესურსების საკითხებს სწავლობს. სადგური სწავლობს მდინარეთა წყლის რეჟიმს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, აწარმოებს კაშხალების, ჯებირებისა და არხების და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კონსტრუქციების გაანგარიშებას. სადგურზე ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ ინდოეთის ცენტრალური მთავრობის ჰიდროენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარე კანვარსაინი და სადგურის დირექტორი ჯოგლეკარი.

პუნის რაიონში ყველა გზა, სადაც საბჭოთა სტუმრებმა გაიარეს, თაღებითა და ალმებით იყო მორთული. სტუმრებს ყველგან მხურვალედ მიესალმებოდნენ ქალაქისა და მისი მიდამოების აუარებელი მცხოვრებნი.

ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის მოგზაურობის შემდეგი ეტაპი იყო თავდაცვის ეროვნული აკადემია, რომელიც პუნის ახლო მდებარეობს ქჰადაკვასლაში. ტბის პირად, რომელიც მოტორიანი ნავებით გადასერეს საბჭოთა სტუმრებმა, მათ შეხვდა გენერალ-მაიორი ჰაბიბულა, ინდოეთის ამ უმნიშვნელოვანესი სამხედრო სასწავლებლის უფროსი, რომელიც ამზადებს სამი გვარეობის ჯარების — არმიის, ფლოტისა და ავიაციის ოფიცრებს.

გენერალ-მაიორმა ჰაბიბულამ საუზმე გამართა სტუმრების პატივსაცემად. საუზმეზე იგი მიესალმა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს და განაცხადა, რომ მათი მისვლა დიდი პატივია აკადემიისათვის და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა აკადემიის ისტორიაში.

თქვენს მოგზაურობას ჩვენს ქვეყანაში, თქვენს სიტყვებსა და მოქმედებას, განაგრძო გენერალ-მაიორმა ჰაბიბულამ, უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალყურს მსოფლიოს ყველა ხალხი. მან სთხოვა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ქალაქ პუნის თავდაცვის ეროვნული აკადემიის ოფიცერთა, მოსამსახურეთა და მსმენელთა საუკეთესო სურვილები გადასცენ საბჭოთა სამხედრო აკადემიის ოფიცერთა შემადგენლობასა და მსმენელებს. გენერალ-მაიორმა ჰაბიბულამ სთხოვა მათ აგრეთვე მისი სახელით გადასცენ მხურვალე სალამი გამოჩენილ მხედართმთავარს საბჭოთა კავშირის მარშალს გ. კ. ჟუკოვს.

ნ. ა. ბულგანინმა მადლობა გადაუხადა გენერალ-მაიორ ჰაბიბულას თავისი სახელითა და ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით, აგრეთვე საბჭოთა არმიის მეომრებისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადი მისასალმებელი სიტყვებისათვის და მადლობა გამოთქვა გულთბილი მიღებისათვის.

ჩვენს ქვეყანასა და ინდოეთს შორის, თქვა ნ. ა. ბულგანინმა, ძველთაგანვე მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობაა. ინდოეთისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში არასოდეს არ ყოფილა დაძაბულობა. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთ-ერთ მხარეს მიემართოს იარაღის გამოყენების მუქარისათვის. მრავალეროვანი ინდოეთის ხალხის შრომის მოყვარეობამ და ნიჭმა, მისმა განუხრელმა მისწრაფებამ თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი, მისმა მუდმივმა მშვიდობისმოყვარეობამ დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის ხალხების დიდი პატივისცემა და მხურვალე სიმპათია.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა თქვა: საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპია სხვადასხვა საზოგადოებრივი და ეკონომიური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის დიადი პრინციპი. ჩვენ მტკიცედ და განუხრელად ვიცავთ ამ პრინციპს, რომელიც წამოაყენა ჩვენმა მასწავლებელმა ვ. ი. ლენინმა. საბჭოთა კავშირი ყოველთვის ახორციელებდა ისეთ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ყველა ხალხის უაღრესად სანუკვარ სურვილს — შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა, არ დაუშვან, რომ წარმოიშვას ომები, რომლებსაც მუდამ აურაცხელი უბედურება მოაქვს ხალხებისათვის. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები: ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, თავდაუსხმელობა, რაიმე ეკონომიური, პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის მოტივით ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

ჩვენ მეტად მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა და დაგვეთვალიერებინა ისეთი მშვენიერი სამხედრო სასწავლებელი, როგორიც არის თავდაცვის ეროვნული აკადემია. ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხები მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან და ომი არა სურთ. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ინდოელ ხალხს მშვიდობისა და პროგრესისადმი კეთილშობილურ მისწრაფებაში საბჭოთა კავშირი ყოველთვის დაუჭერს მხარს.

თქვენს სიტყვაში თქვენ, ბატონო აკადემიის უფროსო, თქვა ნ. ა. ბულგანინმა, კარგად და გულთბილად მოიხსენიეთ საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, დაახასიათეთ რა იგი, როგორც გამოჩენილი მხედართმთავარი. ჩვენ დიდი მადლობელი ვართ თქვენი გულთბილი სიტყვებისა, მისალმებისა და იმისათვის, რომ წარმატებანი უსურვეთ ჩვენი აკადემიის მეთაურებსა და მსმენელებს. სიამოვნებით შევასრულებთ თქვენს თხოვნას და გადავცემთ მას დანიშნულებისამებრ.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ა. ბულგანინმა ერთხელ კიდევ გამოთქვა მადლობა გულთბილი მეგობრული მიღებისათვის და შემდგომი წარმატებები უსურვა მუშაობაში აკადემიის უფროსთა შემადგენლობას, აკადემიის მასწავლებლებსა და კადეტებს.

საუზმის შემდეგ სტუმრებს უჩვენეს აკადემიის სადგომები. შემდეგ სტუმართა პატივსაცემად სასპორტო მოედანზე გაიმართა სამხედრო-სპორტული შეჯიბრება: სამხედრო ცეკვა, ტანვარჯიში, ჯირითობა, რომლებსაც ინდოეთის ხალხთა, მათ შორის მარატი ხალხის ეროვნული ხელოვნების ბეჭედი აჩნევია.

მადლობა გადაუხადეს რა გენერალ-მაიორ ჰაბიბულას, ამხანაგებმა ხრუშჩოვმა და ბულგანინმა დატოვეს თავდაცვის აკადემია და წავიდნენ თავიანთ რეზიდენციაში, რომელიც მათ ქალაქ პუნაში მოუმზადეს. საღამოს უნივერსიტეტის ბაღში გაიმართა „სამოქალაქო მიღება“ — მასობრივი მიტინგი საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად. მიტინგში მონაწილეობა მიიღო პუნისა და მისი მიდამოების 300 ათასმა მცხოვრებმა. პუნის მოქალაქეთა სახელით ამხანაგებს ბულგანინსა და ხრუშჩოვს, რომლებმაც ადგილები დაიკავეს გაჩირაღდნებულ ტრიბუნაზე, მიესალმა ქალაქის მერი ბ. ნ. სანასი.

პუნის მოქალაქეთა მიტინგზე გამოქვეყნდა ადრესი, სადაც ნათქვამია:

პუნის მოქალაქეთა ადრესი

ხალხისა და მუნიციპალური კორპორაციის სახელით სიხარულით, სულით და გულით მივესალმები ბატონ ბულგანინსა და ბატონ ხრუშჩოვს და მათს თანამგზავრებს. ეს ჭეშმარიტად დღესასწაულის დღეა ჩვენი ხალხის ისტორიაში. რუსეთის ლიდერები რომ ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან, ეს ისტორიული მოვლენაა: ჩვენმა ამხანაგებმა ჰიმალაის ქედი გადმოლახეს, რომ ვიზიტი გაეკეთებინათ ჩვენთვის.

პუნის მცხოვრებთა საბედნიეროდ ჩვენმა სტუმრებმა ინდოეთში მოკლე ხანს ყოფნის დროს გამონახეს დრო, რათა ჩვენს ქალაქშიც ჩამოსულიყვნენ. იმედი მაქვს, რომ აქ მათი ამ მოკლე ხანს ყოფნის დროსაც შევძლებთ მოვიპოვოთ კეთილი განწყობილება.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა. მან გაათავისუფლა თავისი ხალხები მეფის საუკუნეობრივი უღლისაგან. რუსეთის სახალხო რევოლუციას თავისი პარალელები აქვს მსოფლიოს სხვა ნაწილებში.

ჩვენ მაჰათმა განდის ხელმძღვანელობით დავიწყეთ მშვიდობიანი ბრძოლა და მოვიპოვეთ თავისუფლება. ბრიტანეთის იმპერიალისტურმა კოლონიალიზმმა დატოვა ჩვენი ტერიტორია.

დღეს სრული საფუძველი გვაქვს, რათა მოვიგონოთ, თუ რა გმირულად დაიცვეს რუსებმა მოსკოვი, ლენინგრადი და სტალინგრადი ჰიტლერის საზარელი ძალებისაგან. ჩვენი სტუმრები სტალინის ხელმძღვანელობით მიუძღოდნენ და შთააგონებდნენ საბჭოთა ხალხს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე საბრძოლველად. მათ ხელი შეუწყეს ნაცისტური იმპერიალიზმის აჩრდილის მოსპობას. ამიტომ ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ თქვენ, ბატონებო, დღეს ჩვენს შორის იმყოფებით. სულ ამ ხუთი თვის წინათ ჩვენს საყვარელ პრემიერ-მინისტრს შესაძლებლობა მიეცა ჩამოსულიყო თქვენს ქვეყანაში. დიდი საბჭოთა ხალხი მიესალმებოდა მას ყველგან, სადაც კი იგი გამოჩნდებოდა, მიესალმებოდა სულით და გულით.

ჩვენ არ დავივიწყებთ ამ მეგობრობასა და სიყვარულს ჩვენი პრემიერ-მინისტრის მიმართ და თვით ჩვენს მიმართ. თქვენი ჩამოსვლა ინდოეთში კიდევ უფრო დააახლოებს ჩვენს ხალხებს. თუ მსოფლიოს ქვეყნების წარმომადგენლები რაც შეიძლება უფრო ხშირად შეხვდებიან ერთმანეთს და აწარმოებენ მოლაპარაკებას, ეს, უეჭველია, შეუწყობს ხელს ხალხთა ურთიერთგაგების, მშვიდობისა და აყვავების საქმეს. საბჭოთა კავშირში და ინდოეთის რესპუბლიკაში 550 მილიონი მცხოვრებია, რომელთა ერთადერთი სურვილია უზრუნველყონ მსოფლიოს ხალხთა მშვიდობა და მეგობრობა.

* * *

პუნის მოქალაქეთ სიტყვით მიმართა ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ბატონო მერო, ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ გადმოგცეთ თქვენ, ხოლო თქვენი მეშვეობით პუნის მთელ მოსახლეობას საბჭოთა ხალხის მხურვალე სალამი.

თქვენს ქალაქს სახელოვანი ისტორიული ტრადიციები აქვს. წარსულში იგი დედაქალაქი იყო მამაცი და გულადი მარატებისა, რომელნიც მამაცურად იცავდნენ თავიანთი სამშობლოს ეროვნულ დამოუკიდებლობას უცხოელ დამპყრობთაგან. აქ, პუნასთან ახლო, მამაცი მარატი მეომრები ეწეოდნენ ბრძოლას კოლონიზატორთა წინააღმდეგ. თქვენს წინაპრებს ამაოდ არ დაუღვრიათ სისხლი. მათი გმირობის ხსოვნა ყოველთვის ასულდგმულებდა ინდოელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. თქვენი მამაცი წინაპრების ოცნება ახდა: ინდოეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ახლა ინდოელი ხალხი თანდათანობით ხდის ისტორიულ პუნას ცოდნისა და მეცნიერების ქალაქად. უნივერსიტეტი, კოლეჯები, ობსერვატორია, თავდაცვის ეროვნული აკადემია, წყალთა და ენერგეტიკის მეურნეობის საკვლევი სადგური — ყოველივე ეს მაღალი კულტურის ახალგაზრდობის აღზრდის კერებია.

მარად ცოცხლობდეს პუნაში მარატთა ძველი კეთილშობილური თავისუფლებისმოყვარული ტრადიციები და სულ უფრო ფართოდ ვითარდებოდეს მარატი ხალხის თანამედროვე კულტურა.

განვითარდეს და განმტკიცდეს საბჭოთა ხალხებისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა. ვიბრძოლოთ ერთად მთელ მსოფლიოში ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობისათვის, ყველა ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

ნება მიბოძეთ მადლობა გიძღვნათ იმ გულთბილი შეხვედრისათვის, რომელიც დღეს თქვენს მშვენიერ ქალაქში მოგვიწყეთ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ამხანაგებს ბულგანინსა და ხრუშჩოვს პუნის მუნიციპალიტეტის სახელით სახსოვარი საჩუქრები მიართვეს. პუნის მოქალაქეთა მიტინგი საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად დამთავრდა ფეიერვერკითა და სახალხო სეირნობით.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთში

ბანგალორი, 26 ნოემბერი. (საქდესი). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დატოვეს პუნა, სადაც მათ გუშინდელი დღე გაატარეს და დღეს შუადღისას თვითმფრინავებით ჩამოვიდნენ ბანგალორში სამხრეთ ინდოეთის მაისორის შტატის ცენტრში. ცხელი, მზიანი დღე იყო, მაგრამ აქ ასეთი ამინდი ზამთრის ამინდად მიაჩნიათ. ფართოდ გადაშლილი სამხრეთის ქალაქი მწვანეში ჩაფლული დაბალი შენობებით სადღესასწაულოდ იყო მორთული. სტუმრების შესახვედრად ქუჩებში გამოვიდა ბანგალორის ასეულ ათასობით მცხოვრები. მანქანების გზაზე გაკეთებულია მთელი რიგი მისასალმებელი თაღები სსრ კავშირისა და ინდოეთის ალმებით და წარწერებით რუსულ და სამხრეთინდურ ენებზე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს ბულგანინსა და ხრუშჩოვს!“.

ბანგალორის მცხოვრებნი მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა სტუმრებს, როცა მათ ქალაქი გაიარეს და მომზადებულ რეზიდენციაში მიდიოდნენ.

ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს, აგრეთვე მათს თანმხლებ პირებს აეროდრომზე შეხვდნენ და რეზიდენციამდე გააცილეს მაისორის შტატის მთავარმა მინისტრმა კ. ხანუმანთჰაიამ, შტატის მთავრობის წევრებმა, შტატის საკანონმდებლო ასამბლეისა და შტატის საკანონმდებლო საბჭოს თავმჯდომარეებმა, ბანგალორის მერმა ვ. პ. დ. ნაიდუმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე მაისორის რაჯპრამუქჰის (შტატის მმართველის) წარმომადგენლებმა.

არქიტექტორთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

26 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა საბჭოთა არქიტექტორების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 700-მდე დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის თითქმის შვიდი ათას წევრსა და წევრობის კანდიდატს. მრავალ სტუმარს შორის არიან პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საპროექტო, სამშენებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სამინისტროებისა და ქარხნების მუშაკები, მშენებლობათა ნოვატორები.

ყრილობას ესწრებიან აგრეთვე არქიტექტორები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკიდან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან.

16 საათია. მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ა. ბ. არისტოვი, პ. ნ. პოსპელოვი. დელეგატები და სტუმრები მათ ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან.

ყრილობას მოკლე სიტყვით ხსნის ერთ-ერთი უხუცესი საბჭოთა ხუროთმოძღვარი ლ. ვ. რუდნევი.

შემდეგ ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმს. პრეზიდიუმში შედიან გამოჩენილი არქიტექტორები და მშენებლობის დარგის მუშაკები.

შემოდის წინადადება არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმი. დარბაზში იწყება მქუხარე ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. ყრილობა უდიდესი აღფრთოვანებით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

ყრილობა ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1. საბჭოთა არქიტექტურის მდგომარეობა და ამოცანები;
2. მეცნიერების პრობლემები მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით;
3. საცხოვრებელი და სამოქალაქო მშენებლობის ტიპური დაპროექტება და მასობრივი მშენებლობა;
4. საბჭოთა ქალაქთმშენებლობის პრაქტიკა და ძირითადი ამოცანები;
5. მშენებლობის ორგანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის და მისი ხარისხის ამაღლების საკითხები;
6. ტიპური დაპროექტება სამრეწველო მშენებლობაში;
7. სასოფლო მშენებლობისა და არქიტექტურის ძირითადი საკითხები;
8. არქიტექტურული განათლების შესახებ;
9. სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის სარევიზიო კომისიის მოხსენება;
10. სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის წესდების ცვლილებანი;
11. სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

თავმჯდომარე შეკრებილთა ტაშის გრიალში ყრილობის პრეზიდიუმში იწვევს უცხოეთის დელეგაციათა წარმომადგენლებს.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს: სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს, აგრეთვე სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის წესდების სარედაქციო კომისიას.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ა. ბ. არისტოვს, რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან. იგი აქვეყნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას არქიტექტორთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი. დელეგატები და სტუმრები დიდი ყურადღებით ისმენენ მისალმების სიტყვებს. მისი გამოქვეყნების შემდეგ იმართება მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ამით დამთავრდა არქიტექტორთა ყრილობის პირველი სხდომა.

28 ნოემბერს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

საქდესის ცნობა

საბჭოთა კავშირში თერმოატომგულის იარაღის უკანასკნელი გამოცდის შესახებ

უკანასკნელ ხანს, ატომის ენერგიის დარგში სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ სამუშაოთა გეგმის შესაბამისად, საბჭოთა კავშირში მოხდა ახალი ტიპის ატომური და თერმოატომგულის (წყალბადის) იარაღის გამოცდა. გამოცდამ სავსებით გაამართლა შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური გაანგარიშებანი და ცხადყო საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების დიდმნიშვნელოვანი ახალი მიღწევები. წყალბადის ბომბის უკანასკნელი აფეთქება დღემდე მომხდარ ყველა აფეთქებაზე უფრო ძლიერი იყო. რადიაქტიური ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით აფეთქება მოხდა დიდ სიმაღლეზე. ამასთან ხორციელდებოდა ფართო კვლევა ადამიანთა დაცვის საკითხებში.

იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ატყდა ხმაური სსრ კავშირში აღნიშნული გამოცდის გამო, საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი.

საბჭოთა მთავრობა იმის მომხრე იყო და არის, რომ აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი და დაწესდეს ქმედითი საერთაშორისო კონტროლი. ასეთი გადაწყვეტილება შესაძლებელს გახდიდა ატომის ენერგიის გამოყენებას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით. წინადადებანი ატომური და წყალბადის იარაღის უთუო აკრძალვის შესახებ საბჭოთა კავშირს შეჰქონდა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისე ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის ამასწინანდელ თათბირზე, მაგრამ ეს წინადადებანი მიღებული არ იქნა. საბჭოთა კავშირმა შეიტანა აგრეთვე წინადადება ატომისა და წყალბადის იარაღის მორალურ-პოლიტიკური დაგმობის შესახებ. დასავლეთის სახელმწიფოებმა უარი თქვეს ამ წინადადების მიღებაზეც.

ახორციელებს რა აღნიშნულ გამოცდას თავისი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, საბჭოთა კავშირი კვლავ ეცდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიაღწიოს შეთანხმებას, რათა აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი და შემცირდეს ყველა სხვა სახეობის შეიარაღება, შემდგომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და დამყარდეს ნდობა სახელმწიფოთა შორის, შენარჩუნებულ იქნას და განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობა.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

25 ნოემბერს მუშაობას განაგრძობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

სესიამ მოისმინა მოხსენებანი: აკადემიკოს ი. ი. მინცისა — „მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის გადმონაცვლება რუსეთში", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ა. კაზიევისა — „მუშათა მოძრაობა ამიერკავკასიაში 1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში", პროფესორ პ. ვ. გუგუშვილისა—„აგრარული ურთიერთობა ამიერკავკასიაში 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ი. სტურუასი — „რსდმპ კავკასიის კავშირი ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის სათავეში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ნ. მნაცაკანიანისა — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობისათვის". შემდეგ დაიწყო მოხსენებათა განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა ა. ს. ფარაჯევმა (აზერბაიჯანის სსრ), პროფესორმა ც. პ. აღაიანმა (სომხეთის სსრ).

სესიაზე მოგონებები მოსკოვის 1905 წლის ამბების შესახებ გაუზიარა დამსწრეთ ძველმა ბოლშევიკმა, რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილემ ამხ. გ. თ. სტურუამ.

სესია მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

სომეხ კოლმეურნეთა დელეგაცია მახარაძეში

მახარაძე. (სპეც. კორ.). 26 ნოემბერს მახარაძის რაიონში ჩამოვიდა სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია, კოლმეურნეობისა, რომელიც ეჯიბრება ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობას. სადგურ ნატანებში ძვირფას სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. სომეხი მეგობრების დასახვედრად მოვიდნენ პარტიის რაიკომის მდივანი შ. ჟანუყვაძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე დ. საბაშვილი, ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. წითლიძე, კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები, სოციალისტური შრომის გმირები დ. ტაკიძე, ლ. გოგოტიშვილი, რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივი. მეზობელი სოფლების კოლმეურნეობათა წარმომადგენლები.

სომეხ კოლმეურნეთა დელეგაციაში, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის ოქტემბერიანის რაიკომის მეორე მდივანი მ. მკრტიჩიანი, შედიან ნალბანდიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. დავთიანი, პარტბიუროს მდივანი ა. მარტიროსიანი, ბრიგადირები გ. ანდრიასიანი, ა. გაბრიელიანი, მერგოლურები გ. ავეტისიანი, ა. გაბრიელიანი და სხვები, სულ 12 კაცი. დელეგაციას ახლავან სომხეთის რესპუბლიკური გაზეთების წარმომადგენლები.

სომეხი კოლმეურნეების ჩამოსვლის მიზანია სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა ურთიერთ შემოწმება, მომავალი წლისათვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება. სტუმრები რაიონში რამდენიმე დღეს დარჩებიან.

საბჭოთა მთავრობის ნოტა ირანის მთავრობისადმი

26 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ირანის დროებითი საქმეთა რწმუნებული მოსკოვში ბ-ნი ეთესამი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ნოტა ბაღდადის ბლოკის ქვეყნების სამხედრო დაჯგუფებასთან ირანის შეერთების საკითხზე. აღნიშნული ნოტა ამავე დროს არის საბჭოთა მთავრობის პასუხი ირანის მთავრობის სამახსოვრო ბარათზე, რომელიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა 17 ოქტომბერს ირანის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა მოსკოვში ბ-მა ეთესამიმ საბჭოთა მთავრობის ამა წლის 12 ოქტომბრის განცხადების პასუხად.

ქვემოთ ქვეყნდება ირანის მთავრობის აღნიშნული სამახსოვრო ბარათის ტექსტი და საბჭოთა მთავრობის ნოტა ირანის მთავრობისადმი.

ირანის მთავრობის 17 ოქტომბრის სამახსოვრო ბარათი

როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის კომპეტენტური ორგანოებისათვის ცნობილია, თეირანში არაერთგზის სიტყვიერად და წერილობით ეცნობა საბჭოთა კავშირის ბატონ ელჩს, რომ ირანის შაჰინშაჰის მთავრობა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და საზღვრების დაცვისათვის პასუხისმგებლობის ძალით და, სარგებლობს რა თავისი სუვერენიტეტით, მიიღებს ყველა ღონისძიებასა და საშუალებას, რომლებსაც მიზანშეწონილად და საჭიროდ მიიჩნევს ამ მიზნის უზრუნველყოფისათვის; ამიტომ სავსებით ბუნებრივია ირანის შაჰინშაჰის მთავრობის შეერთება ურთიერთთანამშრომლობის პაქტთან, რომელიც ერაყსა და თურქეთს შორის დაიდო, რაც განხორციელებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ჩარჩოებში და სხვა მიზანს არ ისახავს, თუ არა შუა აღმოსავლეთის რაიონსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საფუძვლების განმტკიცებას.

დასკვნებმა, რომლებიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ გამოიტანა ერაყისა და თურქეთის მთავრობათა პაქტის შესახებ და იმან, რომ იგი მიაჩნია სამხედრო დაჯგუფებად შუა და ახლო აღმოსავლეთში და იმ გარკვეული აგრესიული წრეების იარაღად, რომლებიც დაინტერესებული არ არიან საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებით და მიზნად ისახავენ შეინარჩუნონ და აღადგინონ კოლონიური პოლიტიკა, მეტად დიდი გაკვირვება გამოიწვია, რადგან აღნიშნული პაქტი, რომელსაც შეუერთდნენ ინგლისისა და პაკისტანის მთავრობები, არის პაქტი, დადებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ რამდენიმე სახელმწიფოს შორის კეთილი ნებით და იმ სუვერენიტეტის ძალით, რომელიც საშუალებას იძლევა მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიზანშეწონილად მიაჩნიათ თავდაცვისათვის, და ამ პაქტის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და კანონზომიერი თავდაცვა და, რომ, საერთაშორისო კანონების უდავო პრინციპებისა და ადამიანის და საზოგადოების პირველადი უფლებების გარდა, ყოველივე ეს განმარტებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში.

კოლონიური პოლიტიკის აღმოფხვრისათვის ირანის შაჰინშაჰის მთავრობის სერიოზული ბრძოლა საერთაშორისო წრეებში, რაც მისი პოლიტიკის საფუძველია, აზრს მსოფლიოში რაიმე კოლონიური პოლიტიკის აღდგენის შესახებ უადგილოს ხდის. ამიტომ განმარტება, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ გაუკეთა აღნიშნულ პაქტს, სამართლიანი არ არის და არასგზით არ დასტურდება. ასეთი განმარტება მოულოდნელია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მხრივ, რომელიც, საბედნიეროდ, აგრეთვე წევრია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და აკისრია ასეთივე ვალდებულებანი და პასუხისმგებლობა, სავსებით ინფორმირებულია წესდების მოთხოვნის შესახებ და თვითონ ახორციელებდა ასეთ ღონისძიებებს.

ზემომოყვანილ განმარტებათა გამო და ყურადღებას ვაქცევთ რა იმას, რომ საერთაშორისო ვალდებულებათა პატივისცემა ირანის შაჰინშაჰის მთავრობის ძირითადი პოლიტიკის საფუძველია, ერაყისა და თურქეთის თანამშრომლობის პაქტთან შეერთება არავითარ შემთხვევაში არ აყენებს ზიანს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასთან მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას, რომელიც ირანის შაჰინშაჰის მთავრობის განსაკუთრებული ყურადღებისა და განსაკუთრებული დაინტერესების საგანია, რაც დასტურდება უკანასკნელი ღონისძიებებით სასაზღვრო და ფინანსურ საკითხთა მოწესრიგების საქმეში და არასგზით არ ეწინააღმდეგება ორ მთავრობას შორის არსებულ ხელშეკრულებათა აზრს.

საბჭოთა მთავრობის 26 ნოემბრის ნოტა ირანის მთავრობისადმი

საბჭოთა მთავრობის 12 ოქტომბრის განცხადებაზე ირანის მთავრობის 17 ოქტომბრის პასუხთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

1. საბჭოთა მთავრობა იძულებულია მწუხარებით აღნიშნოს, რომ ირანის მთავრობა, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მხრივ არაერთგზის მეგობრული გაფრთხილებისა, დათანხმდა იმაზე, რომ ირანი შეუერთდეს სამხედრო დაჯგუფებას ახლო და შუა აღმოსავლეთში — თურქეთ-ერაყ-პაკისტანის კავშირს, რომელიც ცნობილია ბაღდადის ბლოკის სახელწოდებით და რომლის მონაწილე არის ინგლისიც.

ამის შედეგად ირანი გახდა ისეთი სამხედრო დაჯგუფების წევრი, რომელიც გარკვეული აგრესიული წრეების იარაღია. შეუერთდა რა ამ დაჯგუფებას, ირანმა, თუმცა ეს საკვირველია, თავისი პოლიტიკა დაუკავშირა ირანისათვის უცხო ძალების ინტერესებს, რომლებიც მიზნად ისახავენ შეინარჩუნონ და აღადგინონ ამ რაიონის ქვეყნების კოლონიური დამოკიდებული მდგომარეობა.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ამასთან დაკავშირებით დაადასტუროს, რომ ირანის შეერთება ბაღდადის სამხედრო დაჯგუფებასთან შეუთავსებელია შუა და ახლო აღმოსავლეთის რაიონში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებთან და ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირთან ირანის კეთილმეზობლურ ურთიერთობას და ირანის ცნობილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

2. ირანის მთავრობის 17 ოქტომბრის პასუხში არის ცდა ირანის შეერთება ბაღდადის ბლოკთან გაამართლოს ამ სამხედრო კავშირის ვითომდა თავდაცვითი მიზნების დამოწმებით. მაგრამ ამგვარი დამოწმება ეწინააღმდეგება ფაქტიურ მდგომარეობას.

როგორც ცნობილია, ბაღდადის პაქტის პირველი მუხლი ითვალისწინებს სამხედრო თანამშრომლობას ამ პაქტის წევრთა შორის, ამასთან ამ თანამშრომლობის განხორციელების ღონისძიებათა საკითხი უნდა განისაზღვროს სპეციალური შეთანხმებებით. თუ რას იწვევს ასეთი თანამშრომლობა ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ერაყმა, რომელიც ბაღდადის პაქტის წევრია, ამავე დროს დადო ამ პაქტის მეორე, უფრო ძლიერ მონაწილესთან — ინგლისთან — სპეციალური შეთანხმება, რომელიც უფლებას ანიჭებს ინგლისს გამოიყენოს ერაყის საჰაერო სივრცე, მისი აეროდრომები და ტერიტორია ინგლისის შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის, ხოლო ერაყის შეიარაღებულ ძალებზე ამყარებს ინგლისელი ინსტრუქტორებისა და მრჩევლების კონტროლს.

შუა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების — ბაღდადის ბლოკის წევრების ვალდებულებათა ხასიათს მოწმობს აგრეთვე უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული შინაარსი სპეციალური ოქმისა, რომელიც ბაღდადის პაქტის დანართს წარმოადგენს. ოქმში გათვალისწინებულია, რომ ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარე ვალდებულებას კისრულობს, გარკვეულ პირობებში, თავისი ტერიტორია, აეროდრომები და სამხედრო საჭურველი გადასცეს მეორე მხარის ჯარებისათვის. ამერიკის, ინგლისისა და თურქეთის პრესის ცნობებიდან ჩანს, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალები, რომელთაც დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო გეგმები აკისრებენ კავკასიის მიმართულებით „შეტევის" ამოცანას, ირანში უნდა შევიდნენ და დაიკაონ ირანის აზერბაიჯანი და ქურთისტანი.

ბაღდადის სამხედრო ბლოკის აგრესიულ მიზანდასახულობას მოწმობს თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ მენდერესის განცხადებაც, რომელიც მან ამას წინათ თურქეთის დემოკრატიული პარტიის კონგრესზე გააკეთა იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში თურქეთის მონაწილეობისა და ბაღდადის პაქტის ხელმოწერის შედეგად, რომელსაც ახლა ირანი შეუერთდა, „შეიქმნა მთლიანი ჩრდილოეთის ფრონტი". ამას მოწმობენ აგრეთვე განცხადებანი ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირებისა, რომლებსაც არაერთგზის ხაზგასმით აღუნიშნავთ, რომ ბაღდადის სამხედრო პაქტი და მასში ირანის შესვლა გათვალისწინებულია ამერიკის სამხედრო გეგმებით შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ეგრეთწოდებული „ჩრდილოეთის იარუსის" შექმნის შესახებ. ამას ადასტურებენ აგრეთვე განცხადებანი, რომლებიც ბაღდადის ბლოკის მონაწილე ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმა და მინისტრებმა გააკეთეს ბაღდადის პაქტის საბჭოს ახლახან დამთავრებულ პირველ სესიაზე (21-22 ნოემბერს), რომელსაც მეთვალყურეთა სახით დაესწრნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი სულ უფრო მზარდი რაოდენობით უგზავნიან ბაღდადის ბლოკის ქვეყნებს იარაღსა და სამხედრო საჭურველს, ამასთან ამ მიწოდებებს განაპირობებენ გარკვეული სამხედრო და პოლიტიკური ვალდებულებებით, რომლებიც კიდევ უფრო ართულებენ მდგომარეობას ახლო და შუა აღმოსავლეთში და ზიანს აყენებენ აღნიშნული რაიონის ქვეყნების უშიშროებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ბაღდადის ბლოკის მონაწილე ქვეყნების მეზობელი სახელმწიფოები — ამ რაიონის არაბთა და სხვა სახელმწიფოები უარყოფითად ეკიდებიან ბაღდადის ბლოკის შექმნას და იგი თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებისათვის უშუალო საფრთხედ მიაჩნიათ.

ამასთან ერთად, ბაღდადის პაქტის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის — თურქეთის ტერიტორიაზე გამალებით ეწყობიან სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების მშენებლობას, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს თურქეთის გადასაქცევად მშვიდობისმოყვარე მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად.

ბაღდადის სამხედრო ბლოკის ნამდვილი ხასიათი ჩანს აგრეთვე იქიდან, რომ თურქეთი და ინგლისი — ბაღდადის ბლოკის წევრები — შედიან ნატო-ს სამხედრო დაჯგუფებაში (ჩრდილოეთ-ატლანტიკის ბლოკი), ხოლო პაკისტანი და ინგლისი არიან მეორე სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაჯგუფების — სეატო-ს მონაწილენი. ამავე დროს ნატო აგრესიული სამხედრო დაჯგუფებაა, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ, ხოლო სეატო კოლონიურ სახელმწიფოთა იარაღია, კოლონიალიზმი და ყველა მისი გამოვლინება კი, როგორც ცნობილია, დაგმო აფრიკისა და აზიის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციამ.

არის რა ნატო-სა და სეატო-ს დამაკავშირებელი რგოლი, ბაღდადის ბლოკი წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობის საქმისათვის არა მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთში, არამედ ამ რაიონის ფარგლებს გარეთაც. ამასთან ბაღდადის ბლოკის კავშირი აღნიშნულ სამხედრო დაჯგუფებებთან შესაძლებელს ხდის ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ჩათრევას შეიარაღებულ კონფლიქტებში, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დედამიწის სხვა ნაწილებში.

ამრიგად, ბაღდადის ბლოკის შექმნა და მასში ირანის შესვლა გამოწვეული არ არის თავდაცვის საჭიროებებით, არამედ ემსახურება იმ გარკვეულ სახელმწიფოთა მიზნებს, რომლებიც ისწრაფვიან გადააქციონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები, მათ შორის ირანი, თავიანთ სამხედრო პლაცდარმად და ამ გზით უზრუნველყონ უცხოეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა და თავიანთი სამხედრო ბაზების მოწყობა ამ ქვეყნების ტერიტორიებზე. ამავე დროს კარგად ცნობილია, რომ ირანს არავინ არ ემუქრებოდა და არ ემუქრება, ხოლო თუ არსებობს საფრთხე ირანის უშიშროებისა და დამოუკიდებლობისათვის, იგი მომდინარეობს უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოთაგან, რომლებიც ქმნიან სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ ბლოკებს.

3. ირანის მთავრობის განცხადება, რომ მისი პოლიტიკის საფუძველია ბრძოლა კოლონიური პოლიტიკის აღმოფხვრისათვის და რომ ეს ბრძოლა „აზრს მსოფლიოში რაიმე კოლონიური პოლიტიკის აღდგენის შესახებ უადგილოს ხდის", ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულ ფაქტებს და იმას, რომ კოლონიური სახელმწიფოები ამჟამად ცდილობენ შეინარჩუნონ და აღადგინონ ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნების კოლონიური დამონება. აღნიშნულ ბლოკებში ასეთი ქვეყნების მონაწილეობა იწვევს მათი დამოუკიდებლობის დაკარგვას, უცხო სახელმწიფოებზე მათი ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებული მდგომარეობის გაძლიერებას.

შემთხვევითი როდია, რომ უკვე სამხედრო ბლოკებში შეყვანის მომზადების პროცესში ეს ქვეყნები ივსება უცხოელი სამხედრო მრჩევლებით, რომლებიც იკავებენ გადამწყვეტ პოსტებს სამხედრო და სახელმწიფო აპარატში, რაც იმას იწვევს, რომ ამ ქვეყნების არმიები თანდათან კარგავენ თავიანთ ეროვნულ სახეს. ამავე დროს ამ ქვეყნებში იგზავნება მრავალი ეგრეთწოდებული „სამოქალაქო მრჩეველი", რომლებიც სხვადასხვა საშუალებით იმორჩილებენ ამ ქვეყნების ეკონომიკის მართვას და ხელს უწყობენ იმას, რომ მათი ბუნებრივი სიმდიდრე, პირველ რიგში ნავთობის რესურსები ხელთ იგდოს უცხოეთის კაპიტალმა.

გამალებული შეიარაღება და სამხედრო მშენებლობა, რაც ხორციელდება აღნიშნულ დაჯგუფებათა გეგმებით და მათი მიზნებისათვის, მძიმე ტვირთად აწვება ასეთ დაჯგუფებათა მონაწილე ქვეყნების ბიუჯეტსა და ეკონომიკას და აიძულებს მათ მიმართონ უცხოეთის კრედიტებსა და სესხებს, რაც აძლიერებს უცხო სახელმწიფოებზე დამოკიდებულებას და იწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითებას. ყოველივე ეს ხდება ბაღდადის ბლოკის ქვეყნებში, მათ შორის ირანში, და არ შეიძლება არ ეწინააღმდეგებოდეს ახლო და შუა აღმოსავლეთის იმ ქვეყნების ხალხთა ეროვნულ ინტერესებსა და მისწრაფებებს, რომლებიც ბაღდადის ბლოკში შედიან.

4. ირანის მთავრობის მტკიცების საწინააღმდეგოდ, ბაღდადის სამხედრო ბლოკის შექმნას საერთო არა აქვს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან, ხოლო ირანის მთავრობის მიერ იმის დამოწმება, რომ საბჭოთა კავშირი მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისევე როგორც ირანი, არ შეიძლება იყოს აღნიშნულ ბლოკთან ირანის შეერთების გამართლება, რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვა და ერთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება, ხოლო ბაღდადის ბლოკის შექმნა საწინააღმდეგო მიზნებს ემსახურება.

5. საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ ირანის მთავრობის განცხადება, რომ იგი პატივს სცემს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, არ ეთანხმება ირანის მთავრობის მოქმედებას, რომელმაც, საბჭოთა კავშირ-ირანის გარანტიისა და ნეიტრალიტეტის 1927 წლის I ოქტომბრის ხელშეკრულების მესამე მუხლის ვალდებულებათა წინააღმდეგ, მიიღო გადაწყვეტილება შეუერთოს ირანი ბაღდადის ბლოკს, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირ-ირანის აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლში ნათქვამია: „ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარე კისრულობს ვალდებულებას არც ფაქტიურად, არც ფორმალურად მონაწილეობა არ მიიღოს პოლიტიკურ კავშირებში ან შეთანხმებებში, რომლებიც მიმართული იქნება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის უშიშროების წინააღმდეგ ხმელეთზე თუ ზღვაზე, ისევე როგორც მისი მთლიანობის, მისი დამოუკიდებლობის ან მისი სუვერენიტეტის წინააღმდეგ".

ირანის მთავრობის მიერ ბაღდადის ბლოკში შესვლასთან დაკავშირებით თავისი სუვერენული უფლებების დამოწმება ვერ გაამართლებს ირანის საერთაშორისო ვალდებულებათა დარღვევას. საბჭოთა კავშირი, რომელიც ზუსტად ასრულებს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში თავისი პოლიტიკის პრინციპებს, მუდამ სცემდა პატივს ირანის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას და ირანის უფლებას — დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები. მაგრამ ამასთან თავისთავად იგულისხმება, რომ ორივე ქვეყანამ უნდა დაიცვას საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებით ნებაყოფლობით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებანი.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ ირანის შეერთება ბაღდადის ბლოკთან სერიოზულ ზიანს აყენებს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობას, ამასთან იმ მომენტში, როცა საბჭოთა კავშირისა და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების ღონისძიებებით მიღწეულია გარკვეული წარმატებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარების საქმეში და როცა საბჭოთა კავშირმა გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები ირანთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

მდგომარეობა, რომელსაც ბაღდადის აგრესიულ ბლოკში ირანის შესვლა ქმნის, საფრთხეს შეიცავს საბჭოთა კავშირის საზღვრებისათვის. ამის გამო საბჭოთა მთავრობა გულგრილად ვერ მოეკიდება ირანის შეერთებას ბაღდადის პაქტთან.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობა ირანის მთავრობის პასუხს დამაკმაყოფილებლად ვერ მიიჩნევს, ადასტურებს თავის 12 ოქტომბრის განცხადებას და მთელ პასუხისმგებლობას შესაძლებელი შედეგებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ ბაღდადის სამხედრო ბლოკთან ირანის მთავრობის შეერთების შესახებ გადაწყვეტილებიდან, ირანის მთავრობას აკისრებს.

მოსკოვი, 1955 წლის 26 ნოემბერი.

* * *

ბ-ნმა ეთესამიმ განაცხადა, რომ იგი საბჭოთა მთავრობის აღნიშნულ ნოტას დაუყოვნებლივ გადასცემს ირანის მთავრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 25 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ სსრ კავშირის წარმომადგენლის ა. ა. სობოლევის თავმჯდომარეობით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომა, რომელზეც გრძელდებოდა კომისიის ქვეკომიტეტის მოხსენების განხილვა ქვეკომიტეტის მიერ შესრულებული მუშაობის შესახებ.

პირველი გამოვიდა ა. ა. სობოლევი. საბჭოთა კავშირის პოზიცია ატომური იარაღის აკრძალვისა და განიარაღების საკითხში ნათელია, თქვა მან. საბჭოთა კავშირი მოითხოვდა და მოითხოვს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ყოვლისმომცველ შემცირებას, ატომგულის იარაღის აკრძალვას და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის სისტემის დაწესებას. ა. ა. სობოლევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობამ გადადგა მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯები, რათა დაეჩქარებინა განიარაღების საერთაშორისო კონვენციის დადების საკითხის გადაჭრა. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის ამა წლის 10 მაისისა და 21 ივლისის წინადადებები დიდი ნაბიჯი იყო სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციების შემდგომი დაახლოების მიმართულებით და მტკიცე ბაზა შეუქმნა შეთანხმების მიღწევას. საბჭოთა წარმომადგენელმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობამ განიარაღების საერთაშორისო კონვენციის დადების დაჩქარების მიზნით ამ წინადადებებში გაითვალისწინა ის წინადადებების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელიც უფრო ადრე შეიტანეს ქვეკომიტეტში დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა.

ასეთ გარემოებაში, თქვა ა. ა. სობოლევმა, მოსალოდნელი იყო, რომ ქვეკომიტეტი შეძლებს საერთო თანხმობის ფიქსირებას იმ ძირითად საკითხებზე, რომელთა შესახებ თვალსაზრისები ან უკვე ემთხვევა ერთმანეთს, ან მნიშვნელოვნად დაახლოვდა. მიუხედავად ამისა, ვერც განიარაღების ქვეკომიტეტმა, ვერც ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირმა ვერ მოახერხა აღენიშნა თანხმობა ესოდენ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, თუმცა სავსებით ცხადია, რომ ეს ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა განიარაღების პროგრამისა და განიარაღებისადმი კონტროლის განხორციელებისათვის.

საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეთანხმების გზაზე მთავარი დაბრკოლება იყო ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელთა წარმომადგენელმა ქვეკომიტეტში საეჭვო გახადა შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესაძლებლობა და დაიმოწმა ტექნიკური სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია ატომური იარაღისადმი კონტროლთან. ა. ა. სობოლევმა სხდომას მოაგონა, რომ საფრანგეთის, ინგლისისა და კანადის წარმომადგენლებმა განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომებზე დაადასტურეს, რომ ეთანხმებიან მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დებულებებს, რომლებსაც შეიცავენ საბჭოთა კავშირის 10 მაისის წინადადებანი. მაგრამ ჟენევაში ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე გამოირკვა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები გაჰყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და დაადგნენ იმ პოზიციების გადასინჯვის გზას, რომლებიც მათ ეკავათ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხში.

პოზიციები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაიკავეს ამ თათბირზე, თქვა ა. ა. სობოლევმა, მოწმობენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უარს ამბობენ განიარაღების ღონისძიებათა განხილვაზე. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ასეთი პოზიცია ფაქტიურად უარისთქმაა მათს საკუთარ წინადადებებზე განიარაღების შესახებ, რომლებიც შეიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შარშან და მიმდინარე წლის დამდეგს.

ბ-ნ მოკის გამოსვლა კომისიის 23 ნოემბრის სხდომაზე, თქვა ა. ა. სობოლევმა, დამატებით ადასტურებს იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა სწორედ ასეთი პოზიცია დაიკავეს განიარაღების საკითხში.

შეეხო რა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა ცდას — გაემართლებინათ ძველ პოზიციებზე უარისთქმა იმის დამოწმებით, რომ მეცნიერულმა პროგრესმა თითქოს შეუძლებელი გახადა კონტროლი ატომგულის ნასალებისადმი, ა. ა. სობოლევმა სხდომას მოაგონა, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში დასავლეთის სახელმწიფოებს შემოჰქონდათ წინადადება, რომელშიც შესაძლებლად მიაჩნდათ როგორც ატომური იარაღის სრული აკრძალვა, ისე ამ აკრძალვისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესება. მაშ რატომ დაიწყეს ამავე სახელმწიფოებმა სექტემბერში ლაპარაკი, რომ შეუძლებელი და განუხორციელებელია ატომური იარაღის აკრძალვა და შესაბამისი კონტროლი? დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის შეცვლა იმით ხომ არ აიხსნება, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ თავისი 10 მაისის წინადადებათა შეტანის შედეგად დაისახა განიარაღების შეთანხმების მიღწევისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ღონისძიებათა დაწყების რეალური შესაძლებლობა? ეს ხომ არ ამხნევებთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მოწინააღმდეგეებს?

დასავლეთის სახელმწიფოები, განაგრძო ა. ა. სობოლევმა, რომლებიც დაადგნენ განიარაღების საკითხში თავიანთი წინანდელი პოზიციების გადასინჯვის გზას და უარს ამბობენ განიხილონ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ღონისძიებანი, ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს ამჟამად შეუძლებელია განიარაღების საერთო, ვრცელი პროგრამის განხორციელება, და წინადადებას იძლევიან დავჯერდეთ კონტროლისა და ინსპექციის დაწესებას და არ მივიღოთ შეიარაღების შემცირების რაიმე ღონისძიება. დაისახა აშკარა ტენდენცია, რომ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვა შეიცვალოს იმით, რომ განვიხილოთ წინადადებანი ტერიტორიების აეროფოტოგადაღებისა და სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო ინფორმაციის გაცვლის შესახებ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ასეთ პოზიციას, ბუნებრივია, საერთო არა აქვს რა სურვილთან, რომ შეჩერდეს გამალებული შეიარაღება. თუმცა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ქვეკომიტეტმა ვერ მიაღწია შეთანხმებულ გადაწყვეტილებას განიარაღების დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა შესახებ შეთანხმება არსებითად უკვე იყო, განაგრძო ა. ა. სობოლევმა, მაგრამ ეს გარემოება გავლენას ვერ მოახდენს ჩვენს გადაწყვეტილებაზე განვაგრძოთ შეთანხმების ძიება, რათა ბოლო მოვუღოთ გამალებულ შეიარაღებას. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვაგრძოთ მეცადინეობა, რათა გადავლახოთ ის სიძნელეები, რომლებიც შეგვხვდა შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხში საერთაშორისო შეთანხმების მიღწევის გზაზე. საბჭოთა მთავრობა ასეთ პირობებში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გადაწყვეტილებას ატომური იარაღის გამოყენების მორალური დაგმობის შესახებ, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ატომური ომის დაუშვებლობის მიზნით. სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ წინადადება შეიტანა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე და წინადადება შემოაქვს აქ, რომ სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა იკისრონ ვალდებულება, რომ არ გამოიყენებენ პირველნი ატომურ და წყალბადის იარაღს რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ. თუ ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობები განაცხადებენ, რომ ისინი კისრულობენ ვალდებულებას არ გამოიყენონ პირველებმა ატომური და წყალბადის იარაღი და ასეთივე მოწოდებით მიმართავენ სხვა სახელმწიფოებს, ამ მორალურ დაგმობას ახლანდელ პირობებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც ატომური ომის გაჩაღების თავიდან აცილების უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

დასასრულ სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განიარაღების პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტა ვერ ითმენს ვერავითარ გადადებას და რომ, საბჭოთა კავშირის აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია შეასრულოს და კიდევაც უნდა შეასრულოს დიდმნიშვნელოვანი როლი ამ საქმეში.

შემდეგ გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი ნატინგი, რომელიც შეეცადა იმისათვის, რომ ქვეკომიტეტმა ვერ შეასრულა თავისი ამოცანა, ბრალი დაედო საბჭოთა კავშირისათვის, რომელსაც თითქოს „არა სურს“ კონტროლის საკითხის გადაჭრა.

დაიმოწმა რა ატომური იარაღის აკრძალვისადმი კონტროლის დაწესების „ტექნიკური სიძნელეები“, ნატინგმა ფაქტიურად კვლავ გაიმეორა, რომ მას ამჟამად შეუძლებლად მიაჩნია ატომური იარაღის აკრძალვა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი დასჯერდა შენიშვნებს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვერ დაეთანხმებიან შეფასებას, რომელიც საბჭოთა წარმომადგენელმა მისცა ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ პოზიციას განიარაღების საკითხში. მაგრამ ლოჯმა ვერ მოიყვანა ვერც ერთი საბუთი თავისი ასეთი განცხადების დასადასტურებლად.

კანადის წარმომადგენლის მარტინის გამოსვლა ძირითადად ამოიწურა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციების დაცვით. ამასთან ერთად, მარტინმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას არასოდეს არ მიაჩნდა, რომ განიარაღების ესა თუ ის გეგმა უკეთესია, ვიდრე დანარჩენი გეგმები. ყველა გეგმაში, მათ შორის პრეზიდენტ ეიზენჰაუერისა და პრემიერ-მინისტრ ბულგანინის წინადადებებში, თქვა მან, არის თავისი დადებითი მხარეები. მარტინმა განაცხადა, რომ არსებობს პროგრესის რეალური შესაძლებლობა განიარაღების მისაღები გეგმის შემუშავების მიმართულებით.

შემდეგ სიტყვა აიღო საფრანგეთის წარმომადგენელმა მოკმა, რომელიც შეეცადა სსრ კავშირის წარმომადგენლის კრიტიკული შენიშვნები მისი განცხადების შესახებ წარმოედგინა როგორც იმის დადასტურება, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს ილაშქრებს განიარაღების „ყველა წინადადების სინთეზის“ წინააღმდეგ, რომლის შესახებაც მოკმა ილაპარაკა თავის პირველ გამოსვლაში.

კომისიის სხდომის ბოლოს, პერუს წარმომადგენლის მოკლე განცხადების შემდეგ, ნატინგისა და მოკის განცხადებათა გამო შენიშვნები გააკეთა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა.

შეეხო რა მოკის შენიშვნებს, ა. ა. სობოლევმა თქვა, რომ მოკი ცდილობს არასწორად წარმოადგინოს საბჭოთა დელეგაციის დამოკიდებულება განიარაღების პრობლემის შესახებ სხვადასხვა წინადადების სინთეზის იდეისადმი. სხვადასხვა წინადადების ერთობლივად შესწავლის იდეა, თქვა ა. ა. სობოლევმა, სწორი იდეაა, და ჩვენ მას ხშირად ვიყენებთ ჩვენს მუშაობაში.

უპასუხა რა ინგლისის წარმომადგენელს, ა. ა. სობოლევმა აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის 1954 წლის 4 ნოემბრის რეზოლუციაში ლაპარაკია შეიარაღების შემცირებაზე, ატომური იარაღის აკრძალვაზე და ასეთი შემცირებისა და აკრძალვისადმი კონტროლის დაწესებაზე. არის თუ არა ის, რასაც ახლა დასავლეთის სახელმწიფოები გვთავაზობენ, კონტროლი შეიარაღების შემცირებისა და ატომგულის იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი? თუ არის, მაშინ ჩვენს შორის უთანხმოება არ იქნება. მაგრამ მოსამზადებელი სტადიის იდეა, რომელიც ბ-ნმა მოკმა წარმოადგინა და რომელსაც მხარს უჭერს აგრეთვე ბ-ნი ნატინგი, არ ითვალისწინებს განიარაღების არავითარ ღონისძიებას, არამედ ითვალისწინებს მხოლოდ კონტროლს განუიარაღებლად. ამ მოსამზადებელი სტადიის განმავლობაში ჩვენ გვთავაზობენ განვახორციელოთ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადება, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნავდით, მისი ახლანდელი ფორმით საფუძვლად არ უდევს არავითარი წინადადება განიარაღების შემცირების შესახებ, ბ-ნ იდენის წინადადება, რომელიც აგრეთვე არ არის დაკავშირებული განიარაღების შემცირების ღონისძიებებთან, და ბ-ნ ფორის წინადადება, რომელიც აგრეთვე არ შეიცავს შეიარაღების შემცირებას. ამიტომ ყველა საფუძველია ვილაპარაკოთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ახლანდელი პოზიცია ეწინააღმდეგება გენერალური ასამბლეის 1954 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებას.

ა. ა. სობოლევმა მოიყვანა აგრეთვე ტექსტი საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებისა განიარაღების საკითხზე, რომელიც წარმოადგინეს საფრანგეთმა, ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1955 წლის 16 ნოემბერს ჟენევის თათბირზე, და თქვა, რომ ამ დოკუმენტში, რომელიც განკუთვნილია როგორც დირექტივა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის შემდგომი მუშაობისათვის, არ არის არც ერთი სიტყვა არც შეიარაღების შემცირებაზე, არც ატომური იარაღის აკრძალვაზე. ყოველივე ეს, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ადასტურებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დაადგნენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საკითხის განხილვაზე უარისთქმის გზას. ჩვენ ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ, რომ ასეთი პოზიცია ეწინააღმდეგება გენერალური ასამბლეის 1954 წლის 4 ნოემბრის რეზოლუციას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვ. პიკმა მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

ბერლინი, 25 ნოემბერი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა დღეს თავის რეზიდენციაში ნიდერშენჰაუზენში მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. პატოლიჩევი.

მიღებას დაესწრნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. დიკმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტევოლი, სახალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილე დიდი ბერლინის ობერბურგომისტრი ფ. ებერტი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ოფიციალური პირები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას ახლდა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

ნ. ს. პატოლიჩევმა პრეზიდენტს მიმართა შემდეგი სიტყვებით:

პატივცემულო ამხანაგო პრეზიდენტო!

ნება მიბოძეთ სულით და გულით მოგესალმოთ ჩვენი დელეგაციისა და ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით. ჩვენ განსაკუთრებით მოხარული ვართ გეწვიოთ და მოგესალმოთ თქვენი ცხოვრების ღირსშესანიშნავ დღეს. დღეს ჩვენ გავიგეთ, რომ სრული 50 წლის წინათ თქვენ აგირჩიეს ბრემენის საქალაქო პარლამენტის დეპუტატად. მთელი თქვენი ცხოვრება არის აქტიური ბრძოლა გერმანიის მუშათა კლასის, მშრომელთა ინტერესებისათვის, არის უანგარო სამსახური ხალხის საქმისადმი.

საბჭოთა ადამიანები კარგად გიცნობენ და პატივს გცემენ თქვენ, ამხანაგო პრეზიდენტო, როგორც საერთაშორისო და გერმანიის მუშათა მოძრაობის უაღრესად გამოჩენილ მოღვაწეს და საბჭოთა კავშირის გულწრფელ მეგობარს.

ნება მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის სახელით გისურვოთ ჯანმრთელობა და შემდეგი წარმატებები თქვენს დიდ მუშაობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განსამტკიცებლად, მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ, გერმანელი ხალხის საკეთილდღეოდ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა თავის სიტყვაში განაცხადა:

ძვირფასო ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! ეს-ეს არის წარმოთქმული მისალმების შემდეგ მე მინდა ერთხელ კიდევ გითხრათ, რომ თქვენ ხართ ჩვენი ძვირფასი და პატივცემული სტუმრები. თქვენ ჩამოხვედით როგორც ხალხთა შორის ურთიერთგაგების, მშვიდობისა და მეგობრობის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 9 თებერვლის დეკლარაციაში ყველა ხალხისა და პარლამენტისადმი ნათქვამია, რომ პარლამენტებს შორის პირდაპირი ურთიერთობის დამყარება და საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა შეესაბამება ხალხთა მისწრაფებას მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და თანამშრომლობისადმი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა. ჩვენ ორ სახელმწიფოს შორის მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს აგრეთვე ეკონომიკის, ტექნიკის, მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის დარგში.

თქვენ, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო, როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, თვალსაჩინო როლს ასრულებთ სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. თქვენი ჩამოსვლა, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების თანამშრომლობის კიდევ უფრო ყოველმხრივ განვითარებას. ჩვენი მშრომელნი გიჩვენებენ თქვენ თავიანთ მიღწევებს მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაში. ამავე დროს მათ სურთ ისწავლონ თქვენგან, როგორ უნდა განავითარონ კიდევ უფრო სწრაფად და წარმატებით ეს მშენებლობა ხალხის საკეთილდღეოდ.

აზრთა და გამოცდილების მეგობრული გაზიარება მუდამ სარგებლობას აძლევს ორივე მხარეს. ამით განსხვავდება მშვიდობა ომისაგან, რომელსაც მხოლოდ ზარალი მოაქვს ყველა მონაწილისათვის. სწორედ ამიტომ ჩვენ ერთად ვიბრძვით გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საშიშ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელმაც ჩვენი საუკუნის განმავლობაში ორჯერ დაატეხა თავს ხალხებს დიდი ტანჯვა და უბედურება. თქვენი ჩამოსვლა განამტკიცებს აგრეთვე ჩვენს საერთო ნებასა და მტკიცე გადაწყვეტილებას ყველაფერი გავაკეთოთ, რათა უზრუნველვყოთ ხალხებისათვის მტკიცე მშვიდობა კოლექტიური უშიშროების სისტემას შექმნის გზით. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გულწრფელად არის მზად შეიტანოს თავისი წვლილი ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფაში. ეს, ჩვენი აზრით, საჭირო წანამძღვარია იმისათვის, რომ გერმანია გაერთიანდეს როგორც მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფო.

სწორედ ამ ორი დიდი ასპექტის — მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის მიხედვით ვაფასებ თქვენს ჩამოსვლას, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო. ამ სულისკვეთებით გულითადად მოგესალმებით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოსვლის გამო.



საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი საბურთალოზე, რომელშიც ამ რამდენიმე დღის წინათ უკვე შესახლეს მობინადრეები.

ფოტო შ. გოქაძისა.

თბილისში ჩამოვიდნენ ჩინეთის განათლების მუშაკები

26 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე ამხ. ჩენ ძენ-გუ.

ვაგზალში დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეები მ. ი. ბურჯულაძე, ბ. ი. კიზირია, სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, თბილისის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების დირექტორები და მასწავლებლები, მოსწავლე ახალგაზრდობა. პიონერებმა სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

დელეგაციის წევრები გაეცნობიან სკოლებში სწავლების გამოცდილებას, პოლიტექნიკური სწავლების დაყენებას და სკოლისგარეშე მუშაობას. (საქდესი).

ალბანეთის საპარლამენტო დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა

26 ნოემბერს ალბანეთის საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ალბანეთის რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარე გოგო ნუში, თბილისიდან მოსკოვში გაფრინდა.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ალბანეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ვ. პ. მჟავანაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. პ. გიორგაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. ვ. მჭედლიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუჭავამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ს. ს. როსტიაშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კ. მაღრაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, მინისტრებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, პრესის მუშაკებმა. (საქდესი).

დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში დაიწყო მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება, რომელიც ოთხ დღეს გასტანს.

დათვალიერება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგემ ამხ. ი. ჩოჩიამ.

იხსნება ფარდა. სცენაზეა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მომღერალთა გუნდი სტუდენტ ჯ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ნასიძის დირიჟორობით. დარბაზში გაისმის კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის კანტატა „დიდება პარტიას“ (ტექსტი ს. ჩიქოვანისა, კითხულობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ს. ხაზეიშვილი).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა სიმღერა სტალინზე (მუსიკა ა. ნოვიკოვისა). ბატერფლაის არიას პუჩინის ოპერიდან „ჩიო-ჩიო-სან“ ასრულებს რ. დავრიშაშვილი, დ. არაყიშვილის „ურმულს“ — ა. მთვრალაშვილი, ხოსეს კავარადოსის არიას ოპერიდან „ტოსკა“ — დოცენტი ნ. ანდღულაძე. მაყურებლის გულს ღრმად წვდება აგრეთვე რ. ლაღიძის „საჰიდაო“.

მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის მომღერალთა გუნდი გ. არიენდარის ხელმძღვანელობით. მაყურებელმა კარგად მიიღო „სიმღერა მოსავალზე“ და პოლონური ხალხური სიმღერა „მიდიოდა გოგონა“, რომელსაც ასრულებს კვარტეტი ა. ანანკას, ე. ფედორენკოს, ნ. დუდნიკისა და ა. ანუნინას შემადგენლობით.

საინტერესო რეპერტუარით გამოვიდა ქუთაისის საკონსერვო ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ლოტბარი ნ. შენგელაია, ქორეოგრაფი დ. მურღულია). ამ რეპერტუარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხალხური „ჩონგური“.

ქუთაისიდან აგრეთვე მოწონება დაიმსახურეს კომუნალური მეურნეობის მუშათა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტისა და აბრეშუმკომბინატის მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა.

კარგად მომზადებული წარსდგა მაყურებლის წინაშე თბილისის მასწავლებელთა სახლის თვითმოქმედი კოლექტივი, რომელმაც წარმოადგინა ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „ნათელი გზა“ (ავტორი და დამდგმელი გ. ჯაფარიძე, ლოტბარი ვ. ჭუმბურიძე).

დათვალიერების პირველ დღეს ორგანიზებულად გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ბორჯომის მუშისა და მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნების, თბილისის სახელმწიფო ბანკის 26 კომისრის რაიონის განყოფილების, მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და სხვა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები.

დათვალიერების პირველი დღის კონცერტს დაესწრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე ამხ. ჩენ ძენ-გუ.

ს. პავლიაშვილი.

მთვარის ნაწილობრივი დაბნელება

მიმდინარე წლის 29 ნოემბერს ღამით მოხდება მთვარის ნაწილობრივი დაბნელება. დაბნელება დაიწყება საღამოს, 20 საათსა და 21 წუთზე თბილისის დროით. ამ მომენტში, თუ ცა მოწმენდილი იქნება, აღმოსავლეთის ცაზე საკმაოდ მაღლა მყოფი სავსე მთვარის მარცხენა ქვედა კიდესთან გამოჩნდება მცირე ზომის მოწითალო ბნელი ლაქა. ეს ლაქა თანდათანობით გაიზრდება და 20 საათსა და 59 წუთზე მიაღწევს მაქსიმალურ სიდიდეს. ამ დროისათვის ლაქით დაფარული იქნება მთვარის დიამეტრის მეათედზე ცოტა მეტი. შემდეგ ლაქა დაიწყებს შემცირებას და 21 ს. 37 წ. სავსებით გაქრება.

მთვარის ზედაპირზე დედამიწის ჩრდილს უფრო ხშირად მოწითალო ფერი აქვს. ამის გამო სრული დაბნელების დროსაც კი მთვარე არასოდეს არ ქრება ცის თაღზე და კვლავ განაგრძობს ნათებას სუსტი მოწითალო სინათლით. ეს მოვლენა გამოწვეულია იმით, რომ მზის სინათლის იმ ნაწილის სხივები, რომელსაც წითელი შეფერილობა აქვს, დედამიწის ატმოსფეროში გავლისას გარდატყდებიან და ჩრდილის შიგნით შეიჭრებიან.

ეს გარემოება საშუალებას იძლევა მთვარის დაბნელებაზე დაკვირვებით შესწავლილ იქნას დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენების ფიზიკური თვისებები და მდგომარეობა, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ასტრონომები ყოველთვის ცდილობენ არ გაუშვან ხელიდან შესაძლებლობა და ხელსაყრელი ამინდის შემთხვევაში მოახდინონ დაკვირვება მთვარის დაბნელებაზე.

ვ. ჯაფიაშვილი,
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერი თანამშრომელი.

წიგნის ბაზრობა თბილისში

დღეს წიგნის ერთთვიურთან დაკავშირებით ქ. თბილისში მოეწყობა წიგნის ბაზრობა. ბაზრობა მოეწყობა რუსთაველის პროსპექტზე, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წინ, პლეხანოვის პროსპექტზე ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის წინა მოედანზე.

წიგნის ბაზრობაზე დიდი რაოდენობით გამოიტანენ პოლიტიკურ, მხატვრულ, საბავშვო, ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ლიტერატურას.

ლექციები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 29 და 30 ნოემბერს აწყობს საჯარო ლექციებს:

29 ნოემბერს. მ. კვესელავა წაიკითხავს ლექციას „დიდი პოლონელი პოეტი ადამ მიცკევიჩი (გარდაცვალების 100 წლისთავის გამო)“.

30 ნოემბერს — გ. ჩიბურდანიძე წაიკითხავს ლექციას „ალბანეთი სოციალიზმის გზაზე (ალბანეთის განთავისუფლების 11 წლისთავი)“.

ლექციები მოეწყობა აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სააქტო დარბაზში (ფურცელაძის ქ. № I) საღამოს 8 საათზე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს
თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — კაკვიძე (დილა-საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — უცნობი ქალი (დილას), მარიამ სტიუარტი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ბრალდება (დილა-საღამოს), **სომხური დრამის** — საიათნოვა (დილას), ნამუსი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ჰრიჰინა (დილას), ბრწყინვალე მავალი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გიქორი (აბონემენტი № 29, 12 ს.), პრინცესა ტურანდოტი (აბონემენტი № 4, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ნამცხვრის სახლი (10 ს. 30 წ.), ხალისიანი მეგობრები (3 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — ქაჯანა (11 ს. და 2 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ჟულიეტა, კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი — მეთორმეტე ღამე, თბილისი, კოლხიდა, კოლმეურნე — ცისკარა, დიდუბე — კვალი თოვლზე, კიროვის სახელობის პარკი — ავარა (I და II სერია), ოფიცერთა სახლი — ტერეზა რაკენი.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

27 ნოემბერს დღისით და საღამოს

მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება

დასაწყისი დღისით 2 საათზე, საღამოს — 8 საათზე.

„სოიუზპეჩატი“ აცხადებს ხელისმომწერთა საყურადღებოდ, რომ ხელმოწერის მიღება ცენტრალურ გამოცემებზე 1956 წლისათვის მთავრდება დეკემბრის პირველ რიცხვებში, რესპუბლიკურ იმ გამოცემებზე, რომლებზეც ჯერ კიდევ არის თავისუფალი ტირაჟები, ხელმოწერის მიღება გაგრძელდება დეკემბერში.

დროული და ხანგრძლივი ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე უზრუნველყოფს გამოცემების წესიერ ჩაბარებას ხელისმომწერლებისათვის.

„სოიუზპეჩატი“.

მოქალაქე **რუბენ მიხეილის-ძე მირილაშვილმა**, მცხოვრებმა სვანეთის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ ვალიდა ვასილის ასულ ტატანაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვალენტინა პავლეს ასულმა დოლმატოვა-მურავიოვამ**, მცხოვრებმა ბორჯომის ქ. № 6, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ ნიკოლოზ კუზმას-ძე მურავიოვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

დედა ივლიტა, მეუღლე ეპრაქსი, შვილები ვახტანგ, ლილი, დოდო, თინა, ლუდვიგ ნათესავებით იუწყებიან

ნესტორ უშანგის-ძე სიჭინავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI. გამოსვენება 29-XI 4 ს. ბელინსკის ქ. № 43.

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს კოლექტივი იუწყება

ვასილ ნიკოლოზის-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 27-XI, 3 ს. ბრიგადირის ქ. № 36.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს „საქვაჭრობის“ თანამშრომლები იუწყებიან

მელიტონ იოსების-ძე იაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 8 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. აკ. წერეთლის ქ. № 15.

დედა ასინეთო, მეუღლე ცუცა, შვილი მეგი, და მარიამ ოჯახებით იუწყებიან

სოკრატ გრიგოლის-ძე მშვიდობაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 8 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. თარხნიშვილის I ჩიხი № 4.

მეუღლე ვალერია, შვილები კარლო, შალვა, თამარ, ტატიანა ოჯახებით იუწყებიან

აკაკი სტეფანეს-ძე თოფურიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XI სოფელ მაიდანში (აბაშის რაიონი).

მეუღლე აგრაფინა, ძმა იონა, და ქსენია ოჯახებით იუწყებიან

მელქისედეკ დომენტის-ძე ფირცხალავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 8 ს. გამოსვენება 29-XI, 4½ ს. გორკის ქ. № 23.

მეუღლე სონა, შვილები დიმიტრი, ვახტანგ, ელენე, მარო ოჯახებით იუწყებიან

ვასილ ესტატეს-ძე ბაბუციძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 7 ს. გამოსვენება 29-XI, 3 ს. „პრავდის“ ქ. № 43.

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან

ნესტორ უშანგის-ძე სიჭინავას

გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო ადელხანოვა ნათესავებით იუწყება

ალექსანდრე აირაპეტის-ძე ასრიევის

გარდაცვალებას. გამოსვენება 27-XI, 3 ს. გრიბოედოვის ქ. № 28.

დედა ცეცილია, მამა შალვა იუწყებიან

გია შალვას-ძე პაპუაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XI, 8 ს. გამოსვენება 29-XI, 4 ს. კეცხოველის ქ. № 20.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებების: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვებების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 06950

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.